1973/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 11 (394)

1973 წლის ნოემბერი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს
უწყებები

№ 11 (394) ნოემბერი 1973 წელი

ს ა რ ჩ ე ლ ი

განყოფილება პირველი

197. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. გ. ვაშაძის საქართველოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

198. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ე. სარიშვილის საქართველოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

199. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქ. თბილისის კალინინის რაიონის რუსთაველის № 34 საარჩევნო ოლქში გასული დეპუტატის ნაცვლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნების დანიშვნის შესახებ.

200. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქ. თბილისის კალინინის რაიონის რუსთაველის № 34 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

201. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ.

202. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 233-ე მუხლის შეცვლის შესახებ.

203. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში დამატებების შეტანის შესახებ.

204. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს შესახებ“ საქართველოს სსრ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

14.196

ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

205. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს შესახებ“ საქართველოს სსრ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

206. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს შესახებ“ საქართველოს სსრ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

207. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა შესახებ დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

განყოფილება მეორე

208. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

209. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

210. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ე. ზარელუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

211. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ა. მარლანიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

212. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ი. მელიქიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

213. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ი. გეწაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

214. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ბ. ა. სალუქვაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

215. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

216. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

217. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

218. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

219. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ზ. გ. აბვლედიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

220. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. თ. კ. ლაზარაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

221. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ბ. ვ. რევიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

222. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. თ. ს. ამირეჯიბის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

223. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. ე. მაჩაბლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

224. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ზ. ნ. ჩხუბიანიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

225. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ხ. ნ. ჯიქიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

226. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ა. ჯოხთაბერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

227. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის „მთავართბილმშენის" № 14 ტრესტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

228. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.
საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

197 ამხ. ბ. ბ. ვაშაძის საქართველოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. გივი გიორგის ძე ვაშაძე საქართველოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 13 ნოემბერი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

198 ამხ. დ. ე. სარიშვილის საქართველოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. დავით ეფრემის ძე **სარიშვილი** საქართველოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 13 ნოემბერი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

199 ქ. თბილისის კალინინის რაიონის რუსთაველის № 34 საარჩევნო ოლქში გასული დეპუტატის ნაცვლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნების დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 99-ე მუხლის შესაბამისად დაინიშნოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნები, ნაცვლად გასული დეპუტატისა ქ. თბილისის კალინინის რაიონის რუსთაველის № 34 საარჩევნო ოლქში კვირას, 1973 წლის 16 დეკემბერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 14 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

200 ქ. თბილისის კალინინის რაიონის რუსთაველის № 34 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 39-ე, მე-40 და 41-ე მუხლების საფუძველზე დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქ. თბილისის კალინინის რაიონის რუსთაველის № 34 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისია საზოგადოებრივი ორგანიზაციების და მშრომელთა საზოგადოებების შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე

მუშაკუღიანი თენგიზ ვარლამის ძე—თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

მოვარაძე ვასილ სიმონის ძე — კულტურის მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს პირველადი ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი

დემურაშვილი ნინო ივანეს ასული — საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

აფრიდონიძე ლევან ილიას ძე — ინსტიტუტ „საქგიპროშახტის“ პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

ჭედია დოდო ალექსანდრეს ასული — ქალაქ თბილისის ლომბარდის მუშა-მოსამსახურეებისაგან;

მალრაძე ნორა ალექსანდრეს ასული — თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მუშა-მოსამსახურეებისაგან;

მეგრელიძე ანზორ იუსუფის ძე — საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს თანამშრომლებისაგან;

ბუცხრიკიძე მედეა ნიკოლოზის ასული — „წითელი ჯვრის“ საზოგადოების საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

არზიანი რუსუდან ანტონის ასული — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საქართველოს განათლების მუშაკთა რესპუბლიკური სახლის პირველადი ორგანიზაციისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 16 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

201 საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწვეულ იქნას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეორე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია 1973 წლის 19 დეკემბერს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 16 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

202 საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 233-ე მუხლის შეცვლის შესახებ

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების 102-ე მუხლის მეორე ნაწილის შეცვლის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 10 აგვისტოს ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 233-ე მუხლი (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1973 წ., № 6, მუხ. 118) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 233.** დახმარება ორსულობისა და მშობიარობის გამო

დახმარებას ორსულობისა და მშობიარობის გამო გასცემენ ორსულობისა და მშობიარობისათვის აღებული მთელი შვებულების განმავლობაში სრული ხელფასის ოდენობით“.

2. ეს ბრძანებულება სამოქმედოდ იქნეს შემოღებული 1973 წლის 1 დეკემბრიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 29 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

203 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში დამატებების შეტანის შესახებ

„საჰაერო ტრანსპორტით ფეთქებადი ან ადვილაალებადი ნივთიერებების, სხვა საშიში ტვირთის ან საგნების უკანონო გადაზიდვისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 19 სექტემბრის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაემატოს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს შემდეგი შინაარსის 248[1] მუხლი:

„მუხლი 248[1]. საჰაერო ხომალდით ფეთქებადი ან ადვილაალებადი ნივთიერებების უკანონო გადაზიდვა

მგზავრის მიერ საჰაერო ხომალდით ფეთქებადი ან ადვილაალებადი ნივთიერებების გადაზიდვა —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე, ან ჯარიმით ას მანეთამდე.

იგივე ქმედობა, რომელსაც მძიმე შედეგები მოჰყვა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე.

2. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 248[1] მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეების წინასწარ გამოძიებას აწარმოებენ შინაგან საქმეთა ორგანოების გამომძიებლები.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 126-ე მუხლის მეოთხე ნაწილს ციფრის „248“ შემდეგ დაემატოს ციფრი „248[1]“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 29 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

204 „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს შესახებ“ საქართველოს სსრ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

„სსრ კავშირში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დეპუტატთა სტატუსის შესახებ“ სსრ კავშირის 1972 წლის 20 სექტემბრის კანონის (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1972 წლის № 39, მუხლი 347-ე) და ამ კანონის მიღებასთან დაკავშირებით ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის 1973 წლის 9 მარტის ბრძანებულების (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1973 წ. № 11, მუხლი 156-ე) შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს შესახებ“ საქართველოს სსრ 1971 წლის 9 დეკემბრის კანონში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1971 წ. № 12, მუხლი 212-ე) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

ა) კანონის 56-ე, 58-ე, 90-ე, 91-ე, 93-ე, 94-ე, 97-ე, 98-ე, 99-ე, მე-100 და 102-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;

„მუხლი 56. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საჭირო დახმარებას უწევს დეპუტატებს მათს მუშაობაში, ამომრჩევლებისათვის ანგარიშის ჩაბარების მომზადებასა და მოწყობაში, დეპუტატებს უკეთებს ინფორმაციას საბჭოსა და მისი ორგანოების საქმიანობის, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმების შესრულების, ამომრჩეველთა განაწესების რეალიზაციის მიმდინარეობის, დეპუტატთა კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების საფუძველზე მიღებული ღონისძიებების შესახებ, ხელს უწყობს დეპუტატების მიერ საბჭოთა კანონმდებლობის, საბჭოების მუშაობის გამოცდილების შესწავლას.“

„მუხლი 58. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საბჭოს განსახილველად წარუდგენს ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ღონისძიებათა გეგმას, რომელსაც ითვალისწინებს სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმების შემუშავებისა და ბიუჯეტის შედგენის დროს, უზრუნველყოფს ამომრჩეველთა განაწესის შესრულებას, ახორციელებს კონტროლს მათი რეალიზაციისადმი, ინფორმაციას უკეთებს მოსახლეობას განაწესების შესრულების შესახებ“

„მუხლი 90. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს დეპუტატი მოვალეა ესწრებოდეს საბჭოს ყოველ სესიას, აქტიურად მონაწილეობდეს საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტისა და მუდმივი კომისიების საქმიანობაში, რომელთა შემადგენლობაშიც არის არჩეული, ასრულებდეს საბჭოსა და მისი ორგანოების დავალებებს. თუ დეპუტატს შესაძლებლობა არა აქვს დაესწროს სესიას, მან ამის შესახებ უნდა აცნობოს საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს დეპუტატს მუდმივი ურთიერთობა აქვს ამომრჩევლებთან, მშრომელთა კოლექტივებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რომლებმაც წამოაყენეს იგი დეპუტატობის კანდიდატად: იგი ინფორმაციას უკეთებს ამომრჩევლებს საბჭოს მუშაობის, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმების, საბჭოს გადაწყვეტილებებისა და ამომრჩეველთა განაწესების შესრულების შესახებ, მონაწილეობს კანონების, საბჭოსა და მისი ორგანოების გადაწყვეტილებების შესრულებაში, სწავლობს საზოგადოებრივ აზრს, ატყობინებს საბჭოსა და მის ორგანოებს მოსახლეობის საჭიროებისა და მოთხოვნილების შესახებ, იღებს ზომებს მათი დაკმაყოფილებისათვის, შესაბამისი ორგანოებისა და თანამდებობის პირთა განსახილვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად შეაქვს წინადადებანი მის სადეპუტატო საქმიანობასთან დაკავშირებით წამოჭრილ საკითხებზე.

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს დეპუტატი მონაწილეობს ამომრჩეველთა განაწესების შესასრულებლად მოსახლეობის დარაზმვაში და საწარმოებში, დაწესებულებებში და ორგანიზაციებში მათი რეალიზაციის კონტროლში.

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს დეპუტატი განიხილავს მიღებულ წინადადებებს, განცხადებებსა და საჩივრებს, იღებს ზომებს მათი სწორად და დროულად გადაწყვეტისათვის, აწარმოებს მოქალაქეთა მიღებას, სწავლობს საჩივრების წარმომშობ მიზეზებს და შეაქვს თავისი წინადადებანი საბჭოში, სხვა სახელმწიფო ორგანოებში, საწარმოებში, დაწესებულებებში, აგრეთვე ორგანიზაციებში. დეპუტატს უფლება აქვს კონტროლი გაუწიოს ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებულ სახელმწიფო ორგანოებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მის მიერ გაგზავნილი წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვას და მიიღოს პირადი მონაწილეობა აღნიშნული წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვაში.

ამომრჩევლებთან ერთობლივი მუშაობისათვის საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს დეპუტატებს, რომლებიც არჩეული არიან მოსაზღვრე საარჩევნო ოლქებიდან, შეუძლიათ გაერთიანდნენ დეპუტატთა ჯგუფებში. დეპუტატთა ჯგუფების ხელმძღვანელებს ამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭო“.

„**მუხლი 91.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს დეპუტატს საბჭოს სესიაზე აქვს გადამწყვეტი ხმის უფლება ყველა საკითხის განხილვისას, უფლება აქვს აირჩიოს და არჩეულ იქნეს საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს ორგანოებში.

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს დეპუტატს უფლება აქვს დააყენოს საკითხები საბჭოს განსახილველად, შეიტანოს წინადადებანი სესიის დღის წესრიგის, აღძრულ საკითხთა განხილვის წესისა და არსის, საბჭოს მიერ შესაქმნელი ორგანოების პერსონალური შემადგენლობისა და თანამდებობის იმ პირთა კანდიდატურების შესახებ, რომლებსაც ირჩევს, ნიშნავს ან ამტკიცებს საბჭო, დააყენოს საკითხები შეკითხვის წესით, მონაწილეობა მიიღოს კამათში, მიმართოს შეკითხვებით, შეიტანოს გადაწყვეტილებათა პროექტები და შესწორებები მათზე, გამოვიდეს თავისი წინადადებების დასასაბუთებლად და კენჭისყრის მოტივების თაობაზე, მისცეს ცნობები.

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს დეპუტატს უფლება აქვს შეიტანოს წინადადება საბჭოს სესიაზე, მოისმინოს ყოველი იმ ორგანოს თუ თანამდებობის პირის ანგარიში ან ინფორმაცია, რომელიც საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს წინაშეა ანგარიშვალდებული ან არის მის კონტროლქვეშ.

საქალაქო, ქალაქის რაიონული დეპუტატს თავისი წინადადებანი და შენიშვნები იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელსაც სესია განიხილავს, შეუძლია გადასცეს თავმჯდომარეს წერილობითი ფორმით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს დეპუტატს უფლება აქვს საბჭოში მისი აღმასრულებელი კომიტეტისა და მუდმივი კომისიების განსახილველად შეიტანოს წინადადებანი სადეპუტატო საქმიანობისას წამოჭრილ საკითხებზე".

„მუხლი 93. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს დეპუტატს უფლება აქვს დეპუტატის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე მიმართოს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, თანამდებობის პირთ, რომლებიც მოვალენი არიან განიხილონ აღძრული საკითხი და უპასუხონ დეპუტატს კანონით დადგენილ ვადაში, ხოლო საბჭოსადმი დაქვემდებარებული ან მის კონტროლქვეშ მყოფი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და თანამდებობის პირები მოვალენი არიან განიხილონ და უპასუხონ — არაუგვიანეს ათი დღის ვადისა.

დეპუტატის საქმიანობის საკითხებში საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს დეპუტატი სარგებლობს უფლებით დაუყოვნებლივ მიიღონ საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს დაქვემდებარებული ან მის კონტროლქვეშ მყოფი სახელმწიფო ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა და სხვა თანამდებობის პირებმა".

„მუხლი 94. საბჭოს ან მისი ორგანოების დავალებით მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს დეპუტატს შეუძლია შეამოწმოს სახელმწიფო ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობა იმ საკითხებზე, რომლებიც საბჭოს გამგებლობაშია, გაეცნოს საჭირო დოკუმენტებს. შემოწმების შედეგებს დეპუტატი ატყობინებს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს, საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და, თუ საჭიროა, შეაქვს წინადადებანი მათი მუშაობის გაუმჯობესების, გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, სახელმწიფო დისციპლინისა და კანონიერების დარღვევაში დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს დეპუტატს უფლება აქვს საბჭოში და მის ორგანოებში აღძრას საკითხი იმის შესახებ, რომ საჭიროა შემოწმდეს ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული სახელმწიფო ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობა.

მოქალაქეთა უფლებებისა და კანონით უზრუნველყოფილი ინტერესების დარღვევის ან კანონიერების სხვა დარღვევის აღმოჩენისას საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს დეპუტატს, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელს, უფლება აქვს მოითხოვოს ამ დარღვევების აღკვეთა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში კი შესაბამის ორგანოებსა და თანამდებობის პირთ მიმართოს მოთხოვნით აღმოფხვრან ასეთი დარღვევები.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების თანამდებობის პირნი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ადმინისტრაცია, აგრეთვე მილიციის მუშაკები, რომლებსაც ეხებათ დეპუტატის მოთხოვნა. მოვალენი არიან დაუყოვნებლივ განახორციელონ ღონისძიებანი დარღვევების აღმოფხვრისა და საჭიროების შემთხვევაში — დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემისათვის".

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მუხლი 97. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს დეპუტატს უფლება აქვს ქალაქის ტერიტორიაზე უფასოდ იმგზავროს ყველა სახეობის საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით (გარდა ტაქსისა), რესპუბლიკური დაქვემდებარების საავტომობილო ტრანსპორტით“.

„მუხლი 98. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს დეპუტატი არ შეიძლება ადმინისტრაციის ინიციატივით დაითხოვონ საწარმოში, დაწესებულებაში ან ორგანიზაციაში სამუშაოდან, გარიცხონ კოლმეურნეობიდან ან დისციპლინური დასჯის წესით გადაიყვანონ დაბალხელფასიან სამუშაოზე საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს წინასწარი თანხმობის გარეშე, ხოლო სესიებს შუა პერიოდში — მისი აღმასრულებელი კომიტეტის წინასწარი თანხმობის გარეშე.

საბჭოს ორგანოში არჩევით თანამდებობაზე არჩევის გამო სამუშაოდან განთავისუფლებულ საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს დეპუტატს არჩევით თანამდებობაზე მის უფლებამოსილებათა დამთავრების შემდეგ ეძლევა წინანდელი სამუშაო (თანამდებობა), ხოლო თუ იგი არ არსებობს — სხვა ტოლფასოვანი სამუშაო (თანამდებობა) იმავე ან, მისი თანხმობით, სხვა სწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში.

საბჭოს ორგანოში არჩევით თანამდებობაზე დეპუტატის მუშაობის დრო ითვლება იმ სპეციალობით შრომის სტაჟში, რომლითაც დეპუტატი მუშაობდა საბჭოს ორგანოში არჩევით თანამდებობაზე არჩევამდე.

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს დეპუტატი არ შეიძლება ქალაქის, რაიონის ტერიტორიაზე მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში, დაპატიმრებულ იქნეს ან დაედოს ადმინისტრაციული სასჯელი სასამართლოს წესით საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს თანხმობის გარეშე, ხოლო სესიებს შუა პერიოდში — მისი აღმასრულებელი კომიტეტის თანხმობის გარეშე.

საქალაქო (საოლქო, რაიონული დაქვემდებარების ქალაქები), ქალაქის რაიონული საბჭოს ან მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება ამ მუხლის მეოთხე ნაწილში აღნიშნულ საკითხზე შეიძლება გააუქმოს შესაბამისმა ზემდგომმა საბჭომ ან მისმა აღმასრულებელმა კომიტეტმა, ხოლო რესპუბლიკური (საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ) დაქვემდებარების საქალაქო საბჭოს ან მისი აღმასკომის გადაწყვეტილება, შესაბამისად — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და საკითხი ხელახლა განსახილველად გადასცეს საბჭოს. თუ საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭო დაადასტურებს თავდაპირველ გადაწყვეტილებას, საკითხი შეიძლება არსებითად გადაწყვიტოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ-ში — ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ-ში — ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, ხოლო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭომ, შესაბამისად, რესპუბლიკის, ოლქის პროკურორის წარდგინებით“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„**მუხლი 99.** საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს დეპუტატს აქვს სადეპუტატო მოწმობა და დეპუტატის სამკერდე ნიშანი, რომლებითაც იგი სარგებლობს თავის უფლებამოსილებათა ვადის განმავლობაში“.

„**მუხლი 100.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს დეპუტატი პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია ამომრჩეველთა წინაშე.

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს დეპუტატი, რომელმაც არ გაამართლა ამომრჩეველთა ნდობა ან ჩაიდინა დეპუტატის მაღალი წოდებისათვის შეუფერებელი მოქმედება, ამომრჩეველთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით შეიძლება ნებისმიერ დროს გაიწვიონ კანონით დადგენილი წესის შესაბამისად“.

„**მუხლი 102.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს დეპუტატის უფლებამოსილებანი ვადამდე შეწყდება იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩევლები გაიწვევენ დეპუტატს.

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს დეპუტატის უფლებამოსილებანი შეიძლება ვადამდე შეწყდეს საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელსაც იგი მიიღებს დეპუტატის პირად განცხადებასთან დაკავშირებით იმის შესახებ, რომ იხსნის დეპუტატის უფლებამოსილებებს იმ გარემოებათა გამო, რომლებიც ხელს უშლიან მათს შესრულებაში ან იმასთან დაკავშირებით, რომ ძალაში შევიდა გამამტყუნებელი სასამართლო განაჩენი პირის მიმართ, რომელიც დეპუტატია“.

ბ) კანონის მე-3, მე-5, 45-ე, 47-ე, 54-ე, 82-ე, 92-ე და 95-ე მუხლებში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მესამე ნაწილი:

„საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭო განიხილავს ამომრჩეველთა კრებების მიერ მოწონებულ განაწესებს, ამტკიცებს მათი შესრულების ღონისძიებათა გეგმას, ითვალისწინებს ამომრჩეველთა განაწესებს სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმების შემუშავებისა და ბიუჯეტის შედგენის დროს, უზრუნველყოფს ამომრჩეველთა განაწესის შესრულებას, ახორციელებს კონტროლს მათი რეალიზაციისადმი“;

მე-5 მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს სიტყვები „საქალაქო, ქალაქის რაიონულ საბჭოს შეუძლია მოისმინოს დეპუტატთა ინფორმაციები იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებენ დეპუტატის მოვალეობებს, საბჭოსა და მისი ორგანოების გადაწყვეტილებებსა და ვალდებულებებს“;

45-ე მუხლის „ა“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა) „დეპუტატთა უფლებამოსილების ცნობა ან ვადამდე შეწყვეტა; დეპუტატთა უფლებამოსილების მოხსნა დეპუტატთა პირადი განცხადებების საფუძველზე; დეპუტატთა ინფორმაციის მოსმენა იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებენ ისინი დეპუტატის მოვალეობებს“;

47-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მესამე და მეოთხე ნაწილები:

„წინადადებებსა და შენიშვნებს, რომლებიც დეპუტატებმა საბჭოს სესიაზე გამოთქვეს ან წერილობითი ფორმით გადასცეს სესიის თავმჯდომარეს, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭო განიხილავს ან იგი განსახილველად უგზავნის მათ შესაბამის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და თანამდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბობის პირთ, რომლებიც ვალდებული არიან ათი დღის ვადაში განიხილონ ეს წინადადებები და შენიშვნები და შედეგები აცნობონ უშუალოდ დეპუტატს, აგრეთვე საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

დეპუტატთა წინადადებებისა და შენიშვნების განხილვისა და რეალიზაციისადმი კონტროლს ახორციელებს საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი".

54-ე მუხლს დაემატოს სიტყვები „საბჭოს განსახილველად შეტანილ საკითხებზე საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი დეპუტატებს აძლევს საჭირო მასალას."

82-ე მუხლის „გ" პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

გ) „იძლევა დასკვნებს იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია დეპუტატთა ხელშეუხებლობასა და გაწვევასთან, აგრეთვე დეპუტატთა განცხადებებზე სადეპუტატო უფლებამოსილების მოხსნასთან, ან იმასთან დაკავშირებით, რომ ძალაში შევიდა საბრალდებო სასამართლო განაჩენი პირის მიმართ, რომელიც დეპუტატია";

92-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს დეპუტატს ან დეპუტატთა ჯგუფს უფლება აქვს მიმართოს აღმასრულებელ კომიტეტს, მის განყოფილებებსა და სამმართველოებს, აგრეთვე ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელების შეკითხვის წესით დააყენონ საკითხები, რომლებიც განეკუთვნება საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს კომპეტენციას";

95-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს დეპუტატი ანგარიშს აბარებს წელიწადში ორჯერ მაინც. დეპუტატის ანგარიში შეიძლება მოეწყოს ნებისმიერ დროს მშრომელთა კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოთხოვნით, რომლებმაც დაასახელეს იგი დეპუტატობის კანდიდატად, ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა კრებების მოთხოვნით."

ამ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მესამე ნაწილი:

„საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს დეპუტატი ინფორმაციას უკეთებს საბჭოს ანგარიშის ჩაბარებისა და ამომრჩეველთა მიერ დაყენებული წინადადებების შესახებ".

2. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმებს შეიტანონ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კანონმდებლობაში ამ ბრძანებულებიდან გამომდინარე ცვლილებები და დამატებები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ზ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაბაძე.

თბილისი, 1973 წლის 29 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

205 „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს შესახებ“ საქართველოს სსრ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

„სსრ კავშირში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დეპუტატთა სტატუსის შესახებ“ სსრ კავშირის 1972 წლის 20 სექტემბრის კანონის (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1972 წ., № 39, მუხლი 347-ე) და ამ კანონის მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 9 მარტის ბრძანებულების (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1973 წ., № 11, მუხლი 156-ე) შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს შესახებ“ საქართველოს სსრ 1971 წლის 9 დეკემბრის კანონში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1971 წ., № 12, მუხლი 211-ე) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

ა) კანონის 48-ე, 50-ე, 83-ე, 84-ე, 85-ე, 87-ე, 90-ე, 91-ე, 92-ე, 93-ე და 95-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 48. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საჭირო დახმარებას უწევს დეპუტატებს მათს მუშაობაში ამომრჩევლებისათვის ანგარიშის ჩაბარების მომზადებასა და მოწყობაში, დეპუტატებს უკეთებს ინფორმაციას საბჭოსა და მისი ორგანოების საქმიანობის, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმების შესრულების, ამომრჩეველთა განაწესების რეალიზაციის მიმდინარეობის, დეპუტატთა კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების საფუძველზე მიღებული ღონისძიებების შესახებ, ხელს უწყობს დეპუტატების მიერ საბჭოთა კანონმდებლობის, საბჭოების მუშაობის გამოცდილების შესწავლას.“

„მუხლი 50. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საბჭოს დასამტკიცებლად წარადგენს ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ღონისძიებათა გეგმას, ითვალისწინებს მათ სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმების შემუშავებისა და ბიუჯეტის შედგენის დროს. ორგანიზაციას უწევს ამომრჩეველთა განაწესების შესრულებას, ახორციელებს კონტროლს მათი რეალიზაციისადმი, ინფორმაციას უკეთებს მოსახლეობას განაწესების შესრულების მიმდინარეობის შესახებ“.

„მუხლი 83. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატი მოვალეა ესწრებოდეს საბჭოს ყოველ სესიას, აქტიურად მონაწილეობდეს საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტისა და მუდმივი კომისიების საქმიანობაში, რომელთა შემადგენლობაშიც არის არჩეული, ასრულებდეს საბჭოსა და მისი ორგანოების დავალებებს. თუ დეპუტატს შესაძლებლობა არა აქვს დაესწროს სესიას, იგი ამის შესახებ აცნობებს საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონული საბჭოს დეპუტატს მუდმივი ურთიერთობა აქვს ამომრჩევლებთან, მშრომელთა კოლექტივებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რომლებმაც წამოაყენეს იგი დეპუტატობის კანდიდატად; ინფორმაციას უკეთებს ამომრჩევლებს საბჭოს მუშაობის შესახებ, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმების, საბჭოს გადაწყვეტილებებისა და ამომრჩეველთა განაწესების შესრულების შესახებ, მონაწილეობს კანონების, საბჭოსა და მისი ორგანოების გადაწყვეტილებების შესრულების ორგანიზაციაში; სწავლობს საზოგადოებრივ აზრს; აცნობებს საბჭოსა და მის ორგანოებს მოსახლეობის საჭიროებისა და მოთხოვნილების შესახებ, იღებს ზომებს მათი დაკმაყოფილებისათვის, შესაბამის ორგანოთა და თანამდებობის პირთა განსახილველად შეაქვს წინადადებანი მის სადეპუტატო საქმიანობასთან დაკავშირებით წამოჭრილ საკითხებზე.

რაიონული საბჭოს დეპუტატი მონაწილეობს ამომრჩეველთა განაწესების შესასრულებლად მოსახლეობის დარაზმვაში და კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და სხვა ორგანიზაციებში მათი რეალიზაციის კონტროლში.

რაიონული საბჭოს დეპუტატი განიხილავს მიღებულ წინადადებებს, განცხადებებსა და საჩივრებს, იღებს ზომებს მათი სწორად და დროულად გადაწყვეტისათვის, აწარმოებს მოქალაქეთა მიღებას, სწავლობს საჩივრების წარმომშობ მიზეზებს და შეაქვს თავისი წინადადებანი საბჭოში, სხვა სახელმწიფო ორგანოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებში, დაწესებულებებში, აგრეთვე ორგანიზაციებში. დეპუტატს უფლება აქვს კონტროლი გაუწიოს, თუ როგორ განიხილავენ მის მიერ გაგზავნილ წინადადებებს, განცხადებებსა და საჩივრებს რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ სახელმწიფო ორგანოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში და მიიღოს პირადი მონაწილეობა აღნიშნული წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვაში.“

„**მუხლი 84.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატს საბჭოს სესიაზე აქვს გადამწყვეტი ხმის უფლება ყველა საკითხის განხილვისას, უფლება აქვს აირჩიოს და არჩეულ იქნეს რაიონული საბჭოს ორგანოებში.

რაიონული საბჭოს დეპუტატს უფლება აქვს დააყენოს საკითხები საბჭოს განსახილველად, შეიტანოს წინადადებანი სესიის დღის წესრიგის, აღძრულ საკითხთა განხილვის წესისა და არსის, საბჭოს მიერ შესაქმნელი ორგანოების პერსონალური შემადგენლობისა და თანამდებობის იმ პირთა კანდიდატურების შესახებ, რომლებსაც ირჩევს, ნიშნავს ან ამტკიცებს საბჭო, დააყენოს საკითხები შეკითხვის წესით, მონაწილეობა მიიღოს კამათში, მიმართოს შეკითხვებით, შეიტანოს გადაწყვეტილებათა პროექტები და შესწორებები მათზე, გამოვიდეს თავისი წინადადებების დასასაბუთებლად და კენჭისყრის მოტივების თაობაზე, მისცეს ცნობები.

რაიონული საბჭოს დეპუტატს უფლება აქვს საბჭოს სესიაზე შეიტანოს წინადადებანი იმ ორგანოს ან თანამდებობის პირის ანგარიშის ან ინფორმაციის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსმენის შესახებ, რომელიც საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებულია ან არის მის კონტროლქვეშ.

რაიონული საბჭოს დეპუტატს შეუძლია თავისი წინადადებანი და შენიშვნები იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელსაც სესია განიხილავს გადასცეს თავმჯდომარეს წერილობითი ფორმით.

რაიონული საბჭოს დეპუტატს უფლება აქვს საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა და მუდმივი კომისიების განსახილველად შეიტანოს წინადადებანი სადეპუტატო საქმიანობისას წამოჭრილ საკითხებზე.“

„მუხლი 85. საბჭოს ან მისი ორგანოების დავალებით რაიონული საბჭოს დეპუტატს შეუძლია შეამოწმოს სახელმწიფო ორგანოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობა იმ საკითხებზე, რომლებიც საბჭოს გამგებლობაშია, გაეცნოს საჭირო დოკუმენტებს. შემოწმების შედეგების შესახებ დეპუტატი ინფორმაციას ეკეთებს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და თუ საჭიროა, შეაქვს წინადადებანი მათი მუშაობის გაუმჯობესების, გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, სახელმწიფო დისციპლინისა და კანონიერების დარღვევისათვის დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

რაიონული საბჭოს დეპუტატს უფლება აქვს საბჭოსა და მის ორგანოებში აღძრას საკითხი იმის შესახებ, რომ საჭიროა შემოწმდეს რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ სახელმწიფო ორგანოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობა.

მოქალაქეთა უფლებებისა და კანონით უზრუნველყოფილი ინტერესების დარღვევის ან კანონიერების სხვა დარღვევის აღმოჩენისას რაიონული საბჭოს დეპუტატს, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელს, უფლება აქვს მოითხოვოს ამ დარღვევების შეწყვეტა, საჭიროების შემთხვევაში კი შესაბამის ორგანოებსა და თანამდებობის პირთ მიმართოს მოთხოვნით აღმოფხვრან ასეთი დარღვევები.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, კოლმეურნეობების, თანამდებობის პირებმა, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ადმინისტრაციამ, აგრეთვე მილიციის მუშაკებმა, რომლებსაც ეხებათ დეპუტატის მოთხოვნა, მოვალენი არიან დაუყოვნებლივ განახორციელონ ღონისძიებანი დარღვევების აღმოფხვრისა და საჭიროების შემთხვევაში — დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემისათვის“.

„მუხლი 87. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატს უფლება აქვს დეპუტატის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე მიმართოს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებს, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, თანამდებობის პირთ, რომლებიც დეპუტატს კანონით დადგენილ ვადაში, ხოლო საბჭოსადმი დაქვემდებარებულ ან მის კონტროლქვეშ მყოფი [illegible] ზოგადოებრივი ორგანოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა [illegible]

[illegible] ხალ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და თანამდებობის პირებისადმი მიმართვისას არაუგვიანეს ათი დღის ვადისა.

რაიონული საბჭოს დეპუტატი სარგებლობს უფლებით სადეპუტატო საქმიანობის საკითხებზე დაუყოვნებლივ მიიღონ რაიონული საბჭოსადმი დაქვემდებარებული ან მის კონტროლქვეშ მყოფი სახელმწიფო ორგანოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა და სხვა თანამდებობის პირებმა".

„მუხლი 90. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატი რაიონის ტერიტორიაზე სარგებლობს უფლებით უფასოდ იმგზავროს რესპუბლიკური დაქვემდებარების საავტომობილო ტრანსპორტით, ყველა სახეობის საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით (გარდა ტაქსისა) და აგრეთვე რკინიგზის ტრანსპორტით."

„მუხლი 91. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატი არ შეიძლება ადმინისტრაციის ინიციატივით დაითხოვონ საწარმოში, დაწესებულებაში ან ორგანიზაციაში სამუშაოდან, გარიცხონ კოლმეურნეობიდან ან გადაიყვანონ დისციპლინური დასჯის წესით დაბალხელფასიან სამუშაოზე რაიონული საბჭოს წინასწარი დასტურის გარეშე, ხოლო სესიებს შუა პერიოდში — მისი აღმასრულებელი კომიტეტის წინასწარი დასტურის გარეშე.

საბჭოს ორგანოში არჩევით თანამდებობაზე არჩევის გამო სამუშაოდან განთავისუფლებულ რაიონული საბჭოს დეპუტატს არჩევით თანამდებობაზე მის უფლებამოსილებათა დამთავრების შემდეგ ეძლევა წინანდელი სამუშაო (თანამდებობა), ხოლო თუ იგი არ არსებობს — სხვა ტოლფასოვანი სამუშაო (თანამდებობა) ამავე ან, მისი თანხმობით, სხვა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში.

საბჭოს ორგანოში არჩევით თანამდებობაზე დეპუტატის მუშაობის დრო ითვლება იმ სპეციალობით შრომის სტაჟში, რომლითაც დეპუტატი მუშაობდა საბჭოს ორგანოში არჩევით თანამდებობაზე არჩევამდე.

რაიონული საბჭოს დეპუტატი არ შეიძლება რაიონის ტერიტორიაზე მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში, დაპატიმრებულ იქნეს ან დაედოს ადმინისტრაციული სასჯელი სასამართლო წესით რაიონული საბჭოს დასტურის გარეშე, ხოლო სესიებს შუა პერიოდში — მისი აღმასრულებელი კომიტეტის დასტურის გარეშე.

რაიონული საბჭოს ან მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება ამ მუხლის მეოთხე ნაწილში აღნიშნულ საკითხებზე შეიძლება გააუქმოს შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, აფხაზეთის ასსრ-ში და აჭარის ასსრ-ში — ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, ხოლო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭომ ან მისმა აღმასრულებელმა კომიტეტმა, ამასთან საკითხი გადასცეს რაიონულ საბჭოს ხელახლა განსახილველად. თუ რაიონული საბჭო დაადასტურებს თავდაპირველ გადაწყვეტილებას, საკითხი შეიძლება არსებითად გადაწყვიტოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ-ში — ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოს პრეზიდიუმმა, ხოლო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭომ, შესაბამისად, რესპუბლიკის, ოლქის პროკურორის წარდგინებით.“

„**მუხლი 92.** რაიონული საბჭოს დეპუტატს აქვს სადეპუტატო მოწმობა და დეპუტატის სამკერდე ნიშანი, რომლებითაც იგი სარგებლობს თავის უფლებამოსილებათა ვადის განმავლობაში.“

„**მუხლი 93.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატი პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია ამომრჩეველთა წინაშე.

რაიონული საბჭოს დეპუტატი, რომელმაც ვერ გაამართლა ამომრჩეველთა ნდობა ან ჩაიდინა დეპუტატის მაღალი წოდებისათვის შეუფერებელი მოქმედება, კანონით დადგენილი წესის შესაბამისად შეიძლება გაწვეულ იქნეს ნებისმიერ დროს, ამომრჩეველთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით“.

„**მუხლი 95.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატის უფლებამოსილებანი ვადამდე შეწყდება იმ შემთხვევაში, თუ დეპუტატს ამომრჩევლები გაიწვევენ.

რაიონული საბჭოს დეპუტატის უფლებამოსილებანი შეიძლება ვადამდე შეწყდეს საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელსაც იგი მიიღებს დეპუტატის პირად განცხადებასთან დაკავშირებით იმის შესახებ, რომ იხსნის დეპუტატის უფლებამოსილებებს იმ გარემოებათა გამო, რომლებიც ხელს უშლიან მათს შესრულებაში, ან იმასთან დაკავშირებით, რომ ძალაში შევიდა გამამტყუნებელი სასამართლო განაჩენი პირის მიმართ, რომელიც დეპუტატია“.

ბ) კანონის მე-3, მე-5, 33-ე, 37-ე, მე-40, 75-ე, 86-ე და 88-ე მუხლებში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მესამე ნაწილი:

„რაიონული საბჭო განიხილავს ამომრჩეველთა კრებების მიერ მოწონებულ განაწესებს, ამტკიცებს მათი შესრულების ღონისძიებათა გეგმას, ითვალისწინებს ამომრჩეველთა განაწესებს სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმების შემუშავებისა და ბიუჯეტის შედგენის დროს, უზრუნველყოფს ამომრჩეველთა განაწესის შესრულებას, ახორციელებს კონტროლს მათი რეალიზაციისადმი“.

მე-5 მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს სიტყვები:

„რაიონულ საბჭოს შეუძლია მოისმინოს დეპუტატთა ინფორმაციები იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებენ დეპუტატის მოვალეობებს, საბჭოსა და მისი ორგანოების გადაწყვეტილებებსა და დავალებებს“.

33-ე მუხლს დაემატოს სიტყვები: „რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი დეპუტატებს აძლევს საჭირო მასალებს იმ საკითხებზე, რომლებიც შეტანილია საბჭოს განსახილველად“.

37-ე მუხლის „ა“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) დეპუტატის უფლებამოსილების ცნობა ან ვადამდე შეწყვეტა; დეპუტატის უფლებამოსილების მოხსნა პირადი განცხადებით; დეპუტატის ინფორმაციის მოსმენა იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებს დეპუტატის მოვალეობებს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-40 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მესამე და მეოთხე ნაწილები:

„წინადადებებსა და შენიშვნებს, რომლებიც დეპუტატებმა გამოთქვეს საბჭოს სესიაზე ან წერილობითი ფორმით გადასცეს სესიის თავმჯდომარეს, განიხილავს რაიონული საბჭო, ან მათ განსახილველად უგზავნის შესაბამის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებსა და თანამდებობის პირთ, რომლებიც ვალდებული არიან ათი დღის ვადაში განიხილონ ეს წინადადებანი და შენიშვნები და შედეგები აცნობონ უშუალოდ დეპუტატს და აგრეთვე რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

დეპუტატთა წინადადებებისა და შენიშვნების განხილვისა და რეალიზაციისადმი კონტროლს ახორციელებს რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი“;

75-ე მუხლის „გ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) იძლევა დასკვნებს იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია დეპუტატის ხელშეუხებლობასა და გაწვევასთან, აგრეთვე დეპუტატის პირადი განცხადებით სადეპუტატო უფლებამოსილებათა მოხსნასთან ან იმასთან დაკავშირებით, რომ ძალაში შევიდა გამამტყუნებელი სასამართლო განაჩენი პირის მიმართ, რომელიც დეპუტატია“.

86-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატს ან დეპუტატთა ჯგუფს უფლება აქვს აღმასრულებელ კომიტეტს, მისი განყოფილებებისა და სამმართველოების ხელმძღვანელებს, აგრეთვე რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს მიმართოს ახსნა-განმარტების მოთხოვნით რაიონული საბჭოს კომპეტენციის საკითხებზე;

88-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„რაიონული საბჭოს დეპუტატი ანგარიშს აბარებს წელიწადში ორჯერ მაინც. დეპუტატის ანგარიში შეიძლება მოეწყოს ნებისმიერ დროს მშრომელთა კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოთხოვნით, რომლებმაც დაასახელეს იგი დეპუტატობის კანდიდატად, ანდა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა კრების მოთხოვნით“.

ამ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მესამე ნაწილი:

„რაიონული საბჭოს დეპუტატი ინფორმაციას უკეთებს საბჭოს ანგარიშის ჩაბარებისა და ამომრჩეველთა მიერ წამოჭრილი წინადადებების შესახებ“.

2. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმებს შეიტანონ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კანონმდებლობაში ამ ბრძანებულებიდან გამომდინარე ცვლილებები და დამატებები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაპაძე.

თბილისი, 1973 წლის 29 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

206 „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს შესახებ“ საქართველოს სსრ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

„სსრ კავშირში მშრომელთა დეპუტატების საბჭოს დეპუტატთა სტატუსის შესახებ“ სსრ კავშირის 1972 წლის 20 სექტემბრის კანონის (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1972 წ., № 39, მუხლი 347-ე) და ამ კანონის მიღებასთან დაკავშირებით ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 9 მარტის ბრძანებულების (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1973 წ., № 11, მუხლი, 156-ე) შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს შესახებ“ საქართველოს სსრ 1968 წლის 25 დეკემბრის კანონში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1968 წ., № 12, მუხ. 191-ე) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

ა) კანონის მე-40, 51-ე, 52-ე, 54-ე, 55-ე, 57-ე, 59-ე, 61-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 40. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საჭირო დახმარებას უწევს დეპუტატებს მათს მუშაობაში, ამომრჩევლებისათვის ანგარიშის ჩაბარების მომზადებასა და მოწყობაში, დეპუტატებს უკეთებს ინფორმაციას საბჭო, აღმასრულებელი კომიტეტისა და მუდმივი კომისიების საქმიანობის, მისდამი დაქვემდებარებული სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმების შესრულების, ამომრჩეველთა განაწესების რეალიზაციის მიმდინარეობის, დეპუტატთა კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების საფუძველზე მიღებული ღონისძიებების შესახებ, ხელს უწყობს დეპუტატების მიერ საბჭოთა კანონმდებლობის, საბჭოების მუშაობის გამოცდილების შესწავლას“.

„მუხლი 51. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს დეპუტატი მოვალეა ესწრებოდეს საბჭოს ყოველ სესიას და აქტიურად მონაწილეობდეს საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტისა და მუდმივი კომისიების საქმიანობაში, რომელთა შემადგენლობაშიც არის არჩეული, ასრულებდეს საბჭოსა და მისი ორგანოების დავალებებს. თუ დეპუტატს შესაძლებლობა არა აქვს დაესწროს სესიას, იგი ამის შესახებ აცნობებს საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

სასოფლო, სადაბო საბჭოს დეპუტატს მუდმივი ურთიერთობა აქვს ამომრჩევლებთან, მშრომელთა კოლექტივებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რომლებმაც წამოაყენეს იგი დეპუტატობის კანდიდატად. ინფორმაციას უკეთებს ამომრჩევლებს საბჭოს მუშაობის, მისდამი დაქვემდებარებული სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმების, საბჭოს გადაწყვეტილებებისა და ამომრჩეველთა განაწესების შესრულების შესახებ, მონაწი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეობს კანონების, საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტისა და მუდმივი კომისიების გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზაციაში, შეაქვს შესაბამის ორგანოთა და თანამდებობის პირთა განსახილველად წინადადებანი მის სადეპუტატო საქმიანობასთან დაკავშირებით წამოჭრილ საკითხებზე.

სასოფლო, სადაბო საბჭოს დეპუტატი მონაწილეობს ამომრჩეველთა განაწესების შესასრულებლად მოსახლეობის დარაზმვასა და კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების მიერ მათი შესრულებისადმი კონტროლის განხორციელებაში.

სასოფლო, სადაბო საბჭოს დეპუტატი განიხილავს მიღებულ წინადადებებს, განცხადებებსა და საჩივრებს, იღებს ზომებს მათი სწორად და დროულად გადაწყვეტისათვის, აწარმოებს მოქალაქეთა მიღებას, სწავლობს საჩივრების წარმომშობ მიზეზებს და შეაქვს თავისი წინადადებანი საბჭოში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებში, დაწესებულებებში და სხვა ორგანიზაციებში. დეპუტატს უფლება აქვს კონტროლი გაუწიოს საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებულ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და სხვა ორგანიზაციებში მის მიერ გაგზავნილი წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვას და მიიღოს პირადი მონაწილეობა აღნიშნული წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვაში.

სასოფლო, სადაბო საბჭოს დეპუტატები, რომლებიც არჩეული არიან მომიჯნავე საარჩევნო ოლქებში, ამომრჩეველთა შორის ერთობლივი მუშაობის ჩატარების მიზნით შეიძლება გაერთიანდნენ დეპუტატთა ჯგუფებად.“

„მუხლი 52. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს დეპუტატს საბჭოს სესიაზე აქვს გადამწყვეტი ხმის უფლება ყველა საკითხის განხილვისას, უფლება აქვს აირჩიოს და არჩეულ იქნეს საბჭოს ორგანოებში.

სასოფლო, სადაბო საბჭოს დეპუტატს უფლება აქვს დააყენოს საკითხები სასოფლო საბჭოს განსახილველად, შეიტანოს წინადადებანი სესიის დღის წესრიგის. აღძრულ საკითხთა განხილვის წესისა და არსის, საბჭოს მიერ შესაქმნელი ორგანოების პერსონალური შემადგენლობისა და თანამდებობის იმ პირთა კანდიდატურების შესახებ, რომლებსაც ირჩევს, ნიშნავს ან ამტკიცებს საბჭო. დააყენოს საკითხები შეკითხვის წესით მონაწილეობა მიიღოს კამათში, მიმართოს შეკითხვებით, შეიტანოს გადაწყვეტილებათა პროექტები და შესწორებები მათზე, გამოვიდეს თავისი წინადადებების დასასაბუთებლად და კენჭისყრის მოტივების თაობაზე, მისცეს ცნობები.

სასოფლო, სადაბო საბჭოს დეპუტატს უფლება აქვს შეიტანოს წინადადება საბჭოს სესიაზე მოისმინონ ყოველი იმ ორგანოს თუ თანამდებობის პირის ანგარიში ან ინფორმაცია, რომელიც სასოფლო, სადაბო საბჭოს წინაშეა ანგარიშვალდებული ან არის მის კონტროლქვეშ.

სასოფლო, სადაბო საბჭოს დეპუტატს თავისი წინადადებანი და შენიშვნები იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელსაც სესია განიხილავს, შეუძლია გადასცეს თავმჯდომარეს წერილობითი ფორმით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასოფლო, სადაბო საბჭოს დეპუტატს უფლება აქვს საბჭოს, მის აღმასრულებელ კომიტეტსა და მუდმივ კომისიებს განსახილველად წარუდგინოს წინადადებანი სადეპუტატო საქმიანობისას წამოჭრილ საკითხებზე".

„მუხლი 54. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს დეპუტატს უფლება აქვს სადეპუტატო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე მიმართოს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებების და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს. თანამდებობის პირთ, რომლებიც მოვალენი არიან განიხილონ აღძრული საკითხი და უპასუხონ დეპუტატს კანონით დადგენილ ვადაში, ხოლო საბჭოსადმი დაქვემდებარებულ ან მის კონტროლქვეშ მყოფი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების და თანამდებობის პირების მიმართვისას — არაუგვიანეს ხუთი დღისა.

დეპუტატის საქმიანობის საკითხებში სასოფლო, სადაბო საბჭოს დეპუტატი სარგებლობს უფლებით დაუყოვნებლივ მიიღონ სასოფლო, სადაბო საბჭოსადმი დაქვემდებარებული ან მის კონტროლქვეშ მყოფი სახელმწიფო ორგანოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა და სხვა თანამდებობის პირებმა.

მუხლი 55. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს დეპუტატს საბჭოს ან მისი ორგანოების დავალებით შეუძლია შეამოწმოს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების მუშაობა იმ საკითხებზე, რომლებიც საბჭოს გამგებლობაშია, გაეცნოს საჭირო დოკუმენტებს. შემოწმების შედეგებს დეპუტატი ატყობინებს შესაბამის კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, საწარმოებს, დაწესებულებებს და სხვა ორგანიზაციებს და, თუ საჭიროა, შეაქვს წინადადებანი მათი მუშაობის გაუმჯობესების, გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, სახელმწიფო დისციპლინისა და კანონიერების დარღვევაში დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

სასოფლო, სადაბო საბჭოს დეპუტატს უფლება აქვს საბჭოში და მის ორგანოებში აღძრას საკითხი იმის შესახებ, რომ საჭიროა შემოწმდეს სასოფლო, სადაბო საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობის, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების მუშაობა.

მოქალაქეთა უფლებებისა და კანონით უზრუნველყოფილი ინტერესების დარღვევის ან კანონიერების სხვა დარღვევის აღმოჩენისას სასოფლო სადაბო საბჭოს დეპუტატს, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელს, უფლება აქვს მოითხოვოს ამ დარღვევების აღკვეთა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის ორგანოებსა და თანამდებობის პირთ მიმართოს მოთხოვნით აღმოფხვრან ასეთი დარღვევები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, კოლმეურნეობების თანამდებობის პირნი, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ადმინისტრაცია, აგრეთვე მილიციის მუშაკები, რომლებსაც ეხებათ დეპუტატის მოთხოვნა, მოვალენი არიან დაუყოვნებლივ განახორციელონ ღონისძიებანი დარღვევების აღმოფხვრისა და საჭიროების შემთხვევაში — დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემისათვის".

„**მუხლი 57.** მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს დეპუტატი არ შეიძლება ადმინისტრაციის ინიციატივით დაითხოვონ საწარმოში, დაწესებულებაში ან ორგანიზაციაში სამუშაოდან, გარიცხონ კოლმეურნეობიდან ან დისციპლინური დასჯის წესით გადაიყვანონ დაბალხელფასიან სამუშაოზე სასოფლო, სადაბო საბჭოს წინასწარი თანხმობის გარეშე, ხოლო სესიებს შუა პერიოდში — მისი აღმასრულებელი კომიტეტის წინასწარი თანხმობის გარეშე.

საბჭოს ორგანოში არჩევით თანამდებობაზე არჩევის გამო სამუშაოდან განთავისუფლებულ დეპუტატს სასოფლო, სადაბო საბჭოს არჩევით თანამდებობაზე მის უფლებამოსილებათა დამთავრების შემდეგ ეძლევა წინანდელი სამუშაო (თანამდებობა), ხოლო თუ იგი არ არსებობს — სხვა ტოლფასოვანი სამუშაო (თანამდებობა) იმავე ან, მისი თანხმობით, სხვა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში.

საბჭოს ორგანოში არჩევით თანამდებობაზე დეპუტატის მუშაობის დრო ითვლება იმ სპეციალობით შრომის სტაჟში, რომლითაც დეპუტატი მუშაობდა საბჭოს ორგანოში არჩევით თანამდებობაზე არჩევამდე.

სასოფლო, სადაბო საბჭოს დეპუტატი არ შეიძლება შესაბამისი საბჭოს ტერიტორიაზე მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში, დაპატიმრებულ იქნეს ან დაედოს ადმინისტრაციული სასჯელი სასამართლო წესით სასოფლო, სადაბო საბჭოს თანხმობის გარეშე, ხოლო სესიებს შუა პერიოდში — მისი აღმასრულებელი კომიტეტის თანხმობის გარეშე.

სასოფლო, სადაბო საბჭოს ან მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება ამ მუხლის მეოთხე ნაწილში აღნიშნულ საკითხზე შეიძლება გააუქმოს შესაბამისმა ზემდგომმა საბჭომ ან მისმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და საკითხი ხელახლა განსახილველად გადასცეს სასოფლო, სადაბო საბჭოს. თუ საკითხი შეიძლება არსებითად გადაწყვიტოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ-ში ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, ხოლო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭომ, შესაბამისად, რესპუბლიკის, ოლქის პროკურორის წარდგინებით".

„**მუხლი 59.** სასოფლო, სადაბო საბჭოს დეპუტატი პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია ამომრჩეველთა წინაშე.

სასოფლო, სადაბო საბჭოს დეპუტატი, რომელმაც არ გაამართლა ამომრჩეველთა ნდობა ან ჩაიდინა დეპუტატის მაღალი წოდებისათვის შეუფერებელი მოქმედება, ამომრჩეველთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით შეიძლება ნებისმიერ დროს გაიწვიონ კანონით დადგენილი წესის შესაბამისად".

ეროვნული ბიბლიოთეკა

„**მუხლი 61.** სასოფლო, სადაბო საბჭოს დეპუტატის უფლებამოსილება ვადამდე შეწყდება იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩევლები გაიწვევენ დეპუტატს.

სასოფლო, სადაბო საბჭოს დეპუტატის უფლებამოსილებანი შეიძლება ვადამდე შეწყდეს საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელსაც იგი მიიღებს დეპუტატის პირად განცხადებასთან დაკავშირებით იმის შესახებ, რომ იხსნის დეპუტატის უფლებამოსილებებს იმ გარემოებათა გამო, რომლებიც ხელს უშლიან მათს შესრულებაში, ან იმასთან დაკავშირებით, რომ ძალაში შევიდა გამამტყუნებელი სასამართლო განაჩენი იმ პირის მიმართ, რომელიც დეპუტატია“.

ბ) კანონის მე-3, მე-4, 26-ე, მე-30, 32-ე, მე-50, 53-ე, 56-ე, და 58-ე მუხლებში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მესამე ნაწილი:

„სასოფლო, სადაბო საბჭო განიხილავს ამომრჩეველთა კრებების მიერ მოწონებულ განაწესებს, ამტკიცებს მათი შესრულების ღონისძიებათა გეგმას, ითვალისწინებს ამომრჩეველთა განაწესებს მის გამგებლობაში მყოფ სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმების შემუშავებისა და ბიუჯეტის შედგენის დროს, უზრუნველყოფს ამომრჩეველთა განაწესის შესრულებას, ახორციელებს კონტროლს მათი რეალიზაციისადმი, ინფორმაციას უკეთებს მოსახლეობას განაწესების მიმდინარეობის შესახებ;

მე-4 მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს სიტყვები:

„სასოფლო, სადაბო საბჭოს შეუძლია მოისმინოს დეპუტატთა ინფორმაციები იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებენ სადეპუტატო მოვალეობებს, საბჭოსა და მისი ორგანოების გადაწყვეტილებებსა და დავალებებს“;

26-ე მუხლს დაემატოს სიტყვები: „სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი დეპუტატებს აძლევს საჭირო მასალებს საბჭოს განსახილველად წარმოდგენილ საკითხებზე“.

მე-30 მუხლის „ა“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) დეპუტატთა უფლებამოსილების ცნობა ან ვადამდე შეწყვეტა, დეპუტატის უფლებამოსილების მოხსნა პირადი განაცხადებით; დეპუტატთა ინფორმაციის მოსმენა მათ მიერ სადეპუტატო მოვალეობის შესრულების შესახებ“;

32-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მესამე და მეოთხე ნაწილები:

„წინადადებებსა და შენიშვნებს, რომლებიც დეპუტატებმა საბჭოს სესიაზე გამოთქვეს ან წერილობითი ფორმით გადასცეს სესიას თავმჯდომარეს, განიხილავს სასოფლო, სადაბო საბჭო ან განსახილველად უგზავნის მათ შესაბამის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებსა და თანამდებობის პირთ, რომლებიც ვალდებული არიან ათი დღის ვადაში განიხილონ ეს წინადადებები და შენიშვნები და შედეგები აცნობონ უშუალოდ დეპუტატს, აგრეთვე სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

დეპუტატთა წინადადებებისა და შენიშვნების განხილვისა და რეალიზაციისადმი კონტროლს ახორციელებს სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი“;

მე-50 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეორე ნაწილი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სასოფლო, სადაბო საბჭოს დეპუტატს აქვს სადეპუტატო მოწმობა და დეპუტატის სამკერდე ნიშანი, რომლებითაც იგი სარგებლობს თავის უფლებამოსილებათა ვადის განმავლობაში“;

53-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს დეპუტატს უფლება აქვს შეკითხვით მიმართოს სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, აგრეთვე სასოფლო, სადაბო საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოებისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს იმ საკითხებზე, რომლებიც სასოფლო, სადაბო საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნება“.

56-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სასოფლო, სადაბო საბჭოს დეპუტატის ანგარიში ეწყობა წელიწადში ორჯერ მაინც. დეპუტატის ანგარიში შეიძლება მოეწყოს ნებისმიერ დროს მშრომელთა კოლექტივისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის მოთხოვნით, რომელმაც დაასახელა იგი დეპუტატობის კანდიდატად ანდა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა კრების მოთხოვნით“.

ამ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მესამე ნაწილი:

„დეპუტატი ინფორმაციას აწვდის საბჭოს ჩატარებული ანგარიშისა და ამომრჩეველთა მიერ დაყენებული წინადადებების შესახებ“;

58-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეორე ნაწილი:

„სასოფლო, სადაბო საბჭოს დეპუტატი სასოფლო, სადაბო საბჭოს ტერიტორიაზე სარგებლობს უფლებით უფასოდ იმგზავროს რესპუბლიკური დაქვემდებარების საავტომობილო ტრანსპორტით (გარდა ტაქსისა)“.

2. დაევალოს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს შეიტანონ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კანონმდებლობებში იმ ბრძანებულებიდან გამომდინარე ცვლილებანი და დამატებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 29 ნოემბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

207 საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა შესახებ დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 13 ივნისის ბრძანებულებით (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1967 წ. № 6, მუხლი 354-ე) დამტკიცებულ საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახებ დებულების მეორე განყოფილების 38-ე პენქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება მიენიჭებათ კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სატყეო მეურნეობის მუშაკებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციათა და სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებათა მუშაკებს, რომლებმაც იმუშავეს არანაკლებ 15 წლისა და აქვთ განსაკუთრებული დამსახურება სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის განვითარების, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მოწინავე ტექნიკისა და მეთოდების დანერგვის საქმეში“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 29 ნოემბერი.

მეორე განყოფილება

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

208 საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ:

საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება:

მუსა აბდულა ოღლი **აივაზოვს** — მარნეულის რაიონის სადახლოს № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

კარაპეტ მისაკის ძე **აკოფიანს** — ახალქალაქის რაიონის ხანდოს საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ვენედიქტე სერაპიონის ძე **ახალაძეს** — წყალტუბოს რაიონის მეორე უბნის დაწყებითი სკოლის მასწავლებელს.

ეთერი ივანეს ასულ **ბარამიძეს** — ლანჩხუთის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მასწავლებელს.

ალექსანდრე ალექსანდრეს ძე **ბერიშვილს** — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორს.

ავთანდილ მემედის ძე **ბერიძეს** — ქედის რაიონის კვაშტის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს.

ანტონინა გიორგის ასულ **ბერუჩაშვილს** — პენსიონერს.

სიდონია გიორგის ასულ **ბურდულს** — დუშეთის რაიონის მლეთის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ვლადიმერ ალექსანდრეს ძე **გალავანოვს** — ცხინვალის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების **გამგეს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თინათინ იასონის ასულ **გეგეჭკორს** — თბილისის 47-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

რიმა ამბარცუმის ასულ **გევორქიანს** — თბილისის საოლქო ოფიცერთა სახლთან არსებული ზოგადსაგანმანათლებლო საღამოს საშუალო სკოლის დირექტორს.

ნატალია დავითის ასულ **გელაშვილს** — პენსიონერს.

შალვა ერმალოს ძე **გენძეხაძეს** — ქუთაისის ავტომექანიკური ტექნიკუმის მასწავლებელს.

ნინო რაჟდენის სულ **გველესიანს** — ახალციხის რაიონის ანის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ანტონ ალექსის ძე **გიგიტაშვილს** — ხაშურის რაიონის გომის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ლეონიდე დავითის ძე **გოგიბერიძეს** — თბილისის 30-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

რომან გიორგის ძე **გოგიჩაევს** — ცხინვალის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მასწავლებელს.

ამბროსი დავითის ძე **დაშნიანს** — თბილისის 117-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ალექსანდრე ვლადიმერის ძე **ელიზბარაშვილს** — თბილისის მე-19 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

მურსალ მარიფ ოღლის **ეფენდიევს** — გარდაბნის რაიონის რუისბოლოს საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ანასტასია რაჟდენის ასულ **ექვთიმიშვილს** — ლაგოდეხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მასწავლებელს.

ბიქტორ კოწიას ძე **ზარქუას** — ზუგდიდის რაიონის ოდიშის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს.

თამარ პორფირეს ასულ **თენეიშვილს** — თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედინსტიტუტის უფროს მასწავლებელს.

სოფიო ალექსანდრეს ასულ **თვალიაშვილს** — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განყოფილების უფროსის მოადგილეს.

თუმარ სამსონის ძე **თიბილოვს** — ცხინვალის რაიონის ხეთაგუროვის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

მარო სიმონის ასულ **იმნაძეს** — ლანჩხუთის რაიონის ჩიბათის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

გრიგოლ ანტონის ძე **კაპანაძეს** — ლაგოდეხის რაიონის ვარდისუბნის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

შალვა გაბრიელის ძე **კლდეისელს** — სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის თბილისის სპეციალური საშუალო სკოლის უფროს მასწავლებელს.

გევორქ სუმბათის ძე **კოჩკონიანს** — გაგრის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს.

ფუფული იოსების ასულ **ლაგვილავას** — წალენჯიხის რაიონის სანატორიული სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერა ნესტორის ასულ **მაკალათიას** — გორის რაიონის ვარიანის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ვალერიან ანდრიას ძე **მელაძეს** — თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის უფროს მასწავლებელს.

მედეა გიორგის სულ **შირზაშვილს** — გორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მასწავლებელს.

ნათელა ივანეს ასულ **ნიკოლაიშვილს** — ქუთაისის საღამოს მესამე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

მარიამ კონსტანტინეს ასულ **ოზბეგაშვილს** — თელავის რაიონის ფშაველის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ქსენია ლენტოს ასულ **პაპაშვილს** — ზნაურის რაიონის ქალეთის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

შუშანა მიხეილის ასულ **ულერიას** — თბილისის 62-ე საბავშვო ბაღის გამგეს.

ილია ხუსეინის ძე **რომანაძეს** — ქობულეთის რაიონის აჭყვისთავის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ნიკოლოზ მათეს ძე **სარალიძეს** — პენსიონერს.

თამარ საბას ასულ **სელიმაშვილს** — რუსთავის მეორე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ვარვარა პანტელეის ასულ **სტომატოვას** — დმანისის რაიონის სარკინეთის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

რევაზ ვლადიმერის ძე **სურგულაძეს** — თბილისის მშრომელთა დეპუტატების ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს.

ვასიკო ილიას ძე **ტიგიევს** — ლენინგორის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს.

ნინო ვასილის ასულ **უნგიაძეს** — მახარაძის რაიონის დვაბზუს საშუალო სკოლის მასწავლებელს.

პროკოფი ივანეს ძე **ქირიას** — პენსიონერს.

ალექსანდრე პოლიკარპეს ძე **ქუთათელაძეს** — პენსიონერს.

ლევან ესტატეს ძე **ღუდუშაურს** — თბილისის მე-16 საშუალო სკოლის დირექტორს.

ანტონინა ივანეს ასულ **შავლიაშვილს** — გურჯაანის რაიონის ჯიმითის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

სოფიო ისიდორეს ასულ **შახბაზოვას** — წალკის რაიონის ბაშქოვის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ალექსანდრე ბახვას ძე **შენგელიას** — სამტრედიის რაიონის კულაშის ზოოვეტტექნიკუმის მასწავლებელს.

შურა ივანეს ასულ **შენგელიას** — თბილისის 84-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ელენე სამუელის ასულ **ჩიქვინიძეს** — პენსიონერს.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

შოთა ზოსიმეს ძე **ჩხაიძეს** — გალის რაიონის აჩიგვარის ჩაის საბჭოთა ურნეობა-ტექნიკუმის მასწავლებელს.

მარგარიტა მარკოზის ასულ **ცქიფურიშვილს** — ქ. ტყიბულის საწირის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ილია დომენტის ძე **წულაძეს** — თბილისის 101-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ვახტანგ ზაულონის ძე **ჭირაქაძეს** — თბილისის 71-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ელენე ისაკის ასულ **ხუბეროვას** — ზესტაფონის რაიონის არგვეთის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

მიხეილ ალექსანდრეს ძე **ჯაგაშვილს** — გურჯაანის რაიონის ბაკურციხის-სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მასწავლებელს.

გიორგი მიხეილის ძე **ჯანჯღავას** — ცხაკაიას რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს.

ეთერი ალექსანდრეს ასულ **ჯაჯანაშვილს** — თბილისის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური სასწავლებლის მასწავლებელს.

პროფესიულ-ტექნიკური განათლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული მასწავლებლის:

გავრილ გიორგის ძე **ამირაგოვს** — ცხინვალის № 49 სპეცპროფტექნიკური სასწავლებლის მასწავლებელს.

მაყვალა მიხეილის ასულ **ხეთაგიშვილ-ჯაიანს** — თბილისის № 54 ქალაქის საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის მასწავლებელს.

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული ოსტატის:

გიორგი ბიქტორის ძე **აბესაძეს** — ტყიბულის № 19 პროფტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატს.

კუკური ალექსანდრეს ძე **გურგენიძეს** — თბილისის № 18 საშუალო სამშენებლო პროფტექნიკური სასწავლებლის უფროს ოსტატს.

ტუხუ რაჟდენის ძე **კოხრეიძეს** — ქუთაისის № 4 ქალაქის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატს.

დავით ნიკოლოზის ძე **ხარაძეს** — ქუთაისის № 21 ქალაქის საშუალო პროესიულ-ტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 13 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

209 საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

მშენებლობის დარგში ხანგრძლივი მუშაობისა და საბინაო მშენებლობის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრისა:

გიორგი სიმონის ძე **ბერაძეს** — „მთავართბილმშენის“ № 14 ტრესტის მთავარ დისპეტჩერს.

ვლადიმერ ფარნაოზის ძე **კუკულავას** — ტრესტ „სოიუზლიფტმონტაჟის“ ამიერკავკასიის სამონტაჟო სამმართველოს უფროსს.

ალექსანდრე ვასილის ძე **როგოვსკოის** — „მთავართბილმშენის“ № 14 ტრესტის № 7 სამშენებლო სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელს.

ავთანდილ პავლეს ძე **სილაგაძეს** — „მთავართბილმშენის“ № 14 ტრესტის № 6 სამშენებლო სამმართველოს უფროსს.

ნოდარ ერეკლეს ძე **სიხარულიძეს** — „მთავართბილმშენის“ № 14 ტრესტის № 8 სამშენებლო სამმართველოს ყოფილ უფროსს.

ტარიელ გიორგის ძე **ცინცაძეს** — „მთავართბილმშენის“ № 14 ტრესტის № 3 სამშენებლო სამმართველოს უფროსს.

საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებლისა:

ვალერიან გიორგის ძე **ასაბაშვილს** — ტრესტ „საქელექტრომონტაჟის“ თბილისის სამონტაჟო სამმართველოს ელექტროამწყობთა ბრიგადირს.

გიორგი კონოეს ძე **მარქარიანს** — „მთავართბილმშენის“ № 14 ტრესტის № 1 სამშენებლო სამმართველოს ხუროს.

გიორგი ივანეს ძე **მახარაძეს** — „მთავართბილმშენის“ № 14 ტრესტის საწარმოო კომბინატის მებეტონეთა ბრიგადირს.

გივი სერაპიონის ძე **მდივნიშვილს** — ტრესტ „სოიუზლიფტმონტაჟის“ ამიერკავკასიის სამონტაჟო სამმართველოს ამწყობ ზეინკალთა ბრიგადირს.

იაფეტ სევერიანეს ძე **მურუსიძეს** — „მთავართბილმშენის“ № 14 ტრესტის № 8 სამშენებლო სამმართველოს ხუროს.

გრიგოლ ერასტეს ძე **რუხაძეს** — „მთავართბილმშენის“ № 14 ტრესტის № 1 რკინა-ბეტონის ნაკეთობათა კომბინატის მებეტონეს.

ანტონ იოსების ძე **სოლაშვილს** — ტრესტ „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის“ თბილისის სამონტაჟო სამმართველოს გაზშემდუღებელს.

ედისონ სერგოს ძე **ტიმჩენკოს** — „მთავართბილმშენის“ № 14 ტრესტის № 10 სამშენებლო სამმართველოს უფროსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანუელ სანტესის ძე ფაუნდესს — „მთავართბილმშენის“ № 14 ტრესტის № 9 სამშენებლო სამმართველოს კალატოზს.

სერგო ნიკოლოზის ძე **ჭალიაშვილს** — „მთავართბილმშენის“ № 14 ტრესტის № 3 სამშენებლო სამმართველოს მეპარკეტეს.

თენგიზ ესტატეს ძე **შალიბაშვილს** — „მთავართბილმშენის“ № 14 ტრესტის № 6 სამშენებლო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს.

თენგიზ გუგუცის ძე **იანვარაშვილს** — „მთავართბილმშენის“ № 14 ტრესტის № 7 სამშენებლო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 29 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

210 ამხ. ვ. ე. ზარელუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ წყალზე მაშველი რესპუბლიკური ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ვლადიმერ ექვთიმეს ძე **ზარელუა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 11 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

211 ამხ. ვ. ა. მარღანიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხე-ტყის და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მინისტრის მოადგილე ამხ. ვალერიან ალექსის ძე **მარღანია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 11 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

212 ამხ. ნ. ი. მელიქიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საავტომობილო ტრანსპორტის სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრის მოადგილე ამხ. ნიკოლოზ იოსების ძე **მელიქიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 11 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

213 ამხ. ა. ი. გეწაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში დამსახურებისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით დრამატურგი აკაკი ისმაილის ძე **გეწაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 12 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

214 ამხ. ბ. ა. სალუქვაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ბორის ალექსანდრეს ძე **სალუქვაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 12 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

215 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მეცხრე ხუთწლედის ვალდებულებათა ვადაზე ადრე შესრულებისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ახალგაზრდა რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა კომპლექსური ბრიგადა.

მახარაძის რაიონის სოფელ ასკანის კოლმეურნეობის ძნელაძის სახელობის კომკავშირულ-ახალგაზრდული რგოლი.

ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროთა სამმართველოს კომკავშირულ-ახალგაზრდული ცვლა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 14 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

216 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მეცხრე ხუთწლედის პირადი ვალდებულების ვადამდე ადრე შესრულებისათვის, **დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

მზია მიხეილის ასული **არათანაშვილი** — თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის № 2 სართავი საამქროს მრთველი.

შუქრი ალექსანდრეს ძე **გიგინეიშვილი** — ქუთაისის საავტომობილო ქარხნის № 1 ამკრებ-მექანიკური საამქროს გამმართველი.

ხაჯერა შაკირის ძე **გოგიტიძე** — შუახევის რაიონის სოფელ გოგნიაურის კოლმეურნეობის მეთამბაქოე.

ქეთევან ალექსანდრეს ასული **ესიტაშვილი** — თბილისის ცენტრალური უნივერმაღის გამყიდველი.

როსტომ გერასიმის ძე **მასეევი** — ცხინვალის ელექტრო-ვიბრაციული მანქანების ქარხნის ზეინკალი.

მამული გიორგის ძე **მამულაშვილი** — საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს ტრესტ „წყალმშენის“ ექსკავატორის მემანქანე.

ვიტალი დავითის ძე **სინაურიძე** — „საქგუმბრინის“ მაღაროთა სამმართველოს მნგრეველ-მტვირთავი.

თენგიზ ივანეს ძე **სხილაძე** — ქარხანა „ელექტრო-ავტომატის“ კონვეიერის ამწყობი ზენკალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციური გივის ასული **ქილიფთარი** — მახარაძის რაიონის სოფელ ხატანეგის კოლმეურნეობის კომკავშირული რგოლის ხელმძღვანელი.

მერი ხუტას ასული **შეროზია** — ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფლის კოლმეურნეობის მეჩაიე.

თენგიზ შოთას ძე **ხარშილაძე** — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ბორის ძნელაძის სახელობის № 7 საღნობი ღუმელის მეფოლადის ხელშემწყობი.

ჯანსულ არტემის ძე **ხონელიძე** — ქუთაისის მცირე გაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის მღარავი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე Ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 14 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

217 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ზაფხულის არდადეგების პერიოდში კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საწარმოო ობიექტების მშენებლობებზე მიღწეული წარმატებებისათვის, დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

კუკური გერმანეს ძე **ავკოფაშვილი** — თბილისის მე-7 საშუალო სკოლის მოსწავლე.

რევაზ ალის ძე **ბაჟუნაშვილი** — ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის პედინსტიტუტის სტუდენტი.

თემური გრამიტონის ძე **კვარაცხელია** — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი.

ვახტანგ იოსების ძე **კიკნაძე** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი.

ზურაბ გრიგოლის ძე **ლაკერბაია** — სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სტუდენტი.

მარინე ჯუდოს ასული **ლომიძე** — თბილისის 126-ე საშუალო სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივანი.

მანანა როსტომის ასული **მაჭავარიანი** — ი. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უცხოენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი.

ბორის ზურაბი ძე **ნატროშვილი** — საგარეჯოს პოლიტექნიკური ტექნიკუმის მოსწავლე.

ნინო ალექსანდრეს ასული **ჩქარეული** — ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე Ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 14 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

218 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ზაფხულის არდადეგების პერიოდში კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საწარმოო ობიექტების მშენებლობებზე მიღწეული წარმატებებისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა სამშენებლო რაზმი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამშენებლო რაზმი.

ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა სამშენებლო რაზმი.

ფოთის გ. გეგეჭკორის სახელობის ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმის მოსწავლეთა სამშენებლო რაზმი.

რუსთავის № 17 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეთა სამშენებლო რაზმი.

მახარაძის № 53 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეთა სამშენებლო რაზმი.

თბილისის 43-ე საშუალო სკოლის მოსწავლეთა შრომითი რაზმი.

თბილისის მე-10 საშუალო სკოლის მოსწავლეთა შრომითი რაზმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 14 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

219 ამხ. ზ. გ. ახვლედიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და პრესის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი ამხ. ზურაბ გიორგის ძე **ახვლედიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს** პრეზიდიუმის **საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 20 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

220 ამხ. თ. კ. ლაზარაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ახალქალაქის რაიკომის მეორე მდივანი ამხ. თამარ ქიტეს ასული **ლაზარაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 20 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

221 ამხ. ბ. ვ. რევიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებსა და მრეწველობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის ინსტრუქტორი ამხ. ბარბალე ვლადიმერის ასული **რევიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 20 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

222 ამხ. თ. ს. ამირეჯიბის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, თბილისის უცხო ენების სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროორექტორი ამხ. თამარ სიმონის ასული **ამირეჯიბი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 29 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

223 ამხ. კ. ე. მაჩაბლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საგეგმო-საფინანსო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდათხუთმეტ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საგეგმო-საფინანსო განყოფილების უფროსი ამხ. კონსტანტინე ელიზბარის ძე **მაჩაბელი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 29 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

224 ამხ. ზ. ნ. ჩხუბიანიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ ტყის და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ტყის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ამხ. ზაქარია ნიკოლოზის ძე **ჩხუბიანიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 29 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

225 ამხ. ხ. ნ. ჯიქიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო-პარტიული მუშაობის განყოფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების გამგე ამხ. ხუტა ნიკოლოზის ძე ჯიქია დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1973 წლის 29 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმ...

226 ამხ. გ. ა. ჯოხთაბერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშა-ობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ამხ. გობრონ ანდრონიკეს ძე **ჯოხთაბერიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 29 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმ...

227 „მთავართბილმშენის“ № 14 ტრესტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბინაო მშენებლობის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის „მთავართბილმშენის“ № 14 **ტრესტი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 29 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

228 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბინაო მშენებლობის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

ვილჰელმ კონსტანტინეს ძე **გალდავა** — „მთავართბილმშენის“ № 14 ტრესტის № 2 სამშენებლო სამმართველოს სამეურნეო ანგარიშიანი ბრიგადის ბრიგადირი.

გიორგი შალვას ძე **დარბიაშვილი** — „მთავართბილმშენის“ № 14 ტრესტის მცირე მექანიზაციის სამმართველოს მებულდოზერე.

ანზორ ერმილეს ძე **იმედაძე** — „მთავართბილმშენის“ № 14 ტრესტის პარტიული კომიტეტის მდივანი.

გივი ვლადიმერის ძე **კვიჭიძე** — „მთავართბილმშენის“ № 14 ტრესტის მმართველი.

ანატოლი მიხეილის ძე **სმირნოვი** — „მთავართბილმშენის“ № 14 ტრესტის № 10 სამშენებლო სამმართველოს ზეინკალთა ბრიგადირი.

მიხეილ ვიქტორის ძე **უნგიაძე** — ტრესტ „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის“ თბილისის № 1 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს ელექტრომონტიორთა ბრიგადირი.

ნოდარ შალვას ძე **ხარაბაძე** — „მთავართბილმშენის“ № 14 ტრესტის № 7 სამშენებლო სამმართველოს უფროსი.

ვახტანგ კალისტრატეს ძე **ცინცაძე** — „მთავართბილმშენის“ № 14 ტრესტის მთავარი ინჟინერი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 29 ნოემბერი.

განკოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1973 წლის 29 ნოემბერს განიხილა საკითხი საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიაზე დეპუტატების მიერ დაყენებული საკითხების განხილვისა და შესრულების მდგომარეობის შესახებ და დაადგინა, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ინფორმაცია ამ საკითხზე მიღებულ იქნეს ცნობად და საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაავალა პერიოდულად შეამოწმონ უმაღლესი საბჭოს და ადგილობრივი საბჭოების დეპუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტატთა მიერ დაყენებული საკითხების შესწავლისა და გადაწყვეტის მდგომარეობა და დასახონ საჭირო ღონისძიებანი გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

*

* *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1973 წლის 29 ნოემბრის სხდომაზე განიხილა საკითხი ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში მუშა-მოსამსახურეთა მიღების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ და აღინიშნა, რომ ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის ქარხანაში უკანასკნელ ხანს გაუმჯობესდა მუშა-მოსამსახურეთა მიღების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის და მათზე პასუხის დროულად გაცემის საქმე.

ქარხნის დირექტორს, მის მოადგილეებსა და ხელმძღვანელ მუშაკებს დაწესებული აქვთ მიღების დღეები და საათები. საამქროებსა და განყოფილებებში შემოღებულია განცხადებებისა და საჩივრების აღრიცხვის ჟურნალები. განცხადებებსა და საჩივრებზე დროულად რეაგირების საქმეში არსებული ნაკლოვანებებისათვის ცალკეულ მუშაკებს დაედოთ დისციპლინური სასჯელი.

ამასთან, ქუთაისის ს. ორჯონიკის სახელობის საავტომობილო ქარხნის ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყო მშრომელთა მიღების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულებების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1972 წლის 7 დეკემბრის და 1973 წლის 19 ივლისის დადგენილებების მთლიანად შესრულება.

ქარხანაში არ არის ორგანიზებული შემოსულ წინადადებათა, განცხადებებისა და საჩივრების საერთო აღრიცხვა, რაც საშუალებას არ აძლევს დირექციას სისტემატურად გააანალიზოს და კონტროლი გაუწიოს მათი სწორად აღრიცხვის, გადაწყვეტის და დროულად პასუხის გაცემის საქმეს. საამქროებსა და განყოფილებებში არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული საჩივრებში აღძრული საკითხების აღრიცხვა და მათი განხილვის კონტროლი. არ ხდება საჩივრების გამომწვევი მიზეზების შესწავლა და სათანადო ზომების მიღება მათ სალიკვიდაციოდ. პრაქტიკაში არ არის დანერგილი ცალკეული განცხადებების შემოწმების შედეგების განხილვა საამქროებისა და განყოფილებების საერთო კრებებზე. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ 1973 წლის 1 ნოემბრისათვის ქარხანაში შემოსული 1.292 განცხადება-საჩივარის გარკვეულ ნაწილზე პასუხი დაგვიანებით არის გაცემული.

ზოგჯერ ასევე დაგვიანებით იხილავენ მუშების რაციონალიზატორულ წინადადებებს წარმოების პროცესის ან ტექნოლოგიური ციკლის გაუმჯობესების შესახებ.

მართალია ქარხნის დირექტორმა 1973 წლის 15 მარტს გამოსცა ბრძანება მთხოვნელთა მიღების და მშრომელთა წერილების განხილვის გაუმჯობესების

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაობაზე, მაგრამ იგი ზოგადი ხასიათისაა. ბრძანების მიღებას წინ არ უძღოდა მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების წინასწარი შემოწმება და ანალიზი.

ქარხანაში სათანადო ყურადღება არ ექცევა შრომის დისციპლინისა და უსაფრთხოების ტექნიკის დაცვის საკითხებს.

ასე მაგალითად, 1973 წლის 10 თვეში პირადი განცხადებებითა და თვითნებურად ქარხნიდან წასულია 1.874 კაცი, რაც ქარხნის საერთო პერსონალის 15 პროცენტზე მეტია. დიდია უხელფასო შვებულებების, უმიზეზო გაცდენებისა და შიდაცვლის მოცდენების შემთხვევები. ეს იმ დროს, როდესაც ადგილი აქვს ზეგანაკვეთური ხასიათის სამუშაოს.

სათანადო ყურადღება არ ექცევა არსებული საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობას, მაშინ, როდესაც ქარხანაში შემოსული განცხადებების 50 პროცენტი ეხება ბინების შეკეთებას, სანტექნიკის წესრიგში მოყვანას, ჩატარებული რემონტის ხარისხს და სხვ.

ქარხანაში სათანადო დონეზე არ დგას იურიდიული სამსახური.

მშრომელთა დეპუტატების ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს არ შეუმოწმებია მუშა-მოსამსახურეთა მიღების, განცხადებებისა და საჩივრების დროულად განხილვის მდგომარეობა ქარხანაში. დეპუტატები ნაკლებად არიან ჩაბმული ამ საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა

დაავალა ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის დირექტორს ამხ. ვ. ხარებავას, ქარხნის საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად,

მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების გახილვისას ზუსტად იხელმძღვანელოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულებით.

სერიოზული ყურადღება დაუთმოს მშრომელთა განცხადებების და საჩივრების განხილვა-გადაწყვეტის აღრიცხვის საქმეს. აამაღლოს იმ პირთა პასუხისმგებლობა, რომელთაც ეხება მშრომელთა წერილების და განცხადებების დროულად განხილვა და მათზე სწორი და ამომწურავი პასუხების გაცემა;

ამის გარდა მას დაევალა დასახოს და გაატაროს კონკრეტული ღონისძიებები იმ საკითხების შესწავლისა და დროულად გადაწყვეტისათვის, რომლებზეც ქარხნის მშრომელები ხშირად წერენ განცხადებებს და საჩივრებს (საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების და შრომის კანონმდებლობის დაცვის საკითხები), მიიღოს ზომები საჩივრების გამომწვევ მიზეზთა აღმოსაფხვრელად,

კიდევ უფრო აამაღლოს იურიდიული სამსახურის დონე, უზრუნველყოს ქარხანაში სამართლებრივი ცოდნის ფართო და სისტემატური პროპაგანდა,

პერიოდულად შეამოწმოს განცხადებებსა და საჩივრებში აღძრული საკითხების გამო მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერება და მათი შესრულების მდგომარეობა. ამასთან, ეს საკითხები გახადოს საამქროებისა და განყოფილებების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებების მსჯელობის საგნად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

განახორციელოს სათანადო ზომები ქარხანაში შრომის დისციპლინის გაძლიერებისა ნმტკიცებისათვის.

მშრომელთა დეპუტატების ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს მიეცა რჩევა გააძლიეროს კონტროლი ქარხანაში მუშა-მოსამსახურეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობაზე. ამ საქმეში ფართოდ ჩააბას ქარხანაში მომუშავე დეპუტატები.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1973 წლის 29 ნოემბრის სხდომაზე განიხილა საკითხი რესპუბლიკაში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დეპუტატთა სტატუსის შესახებ კანონის შესრულების მდგომარეობის თაობაზე და აღინიშნა, რომ რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა სერიოზული მუშაობა გასწიეს „სსრ კავშირში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დეპუტატთა სტატუსის შესახებ" კანონის განმარტებისა და ცხოვრებაში გატარებისათვის.

დეპუტატთა სტატუსის შესახებ კანონის შესწავლის მიზნით რესპუბლიკის ყველა ადგილობრივ საბჭოში ჩატარდა დეპუტატების, წარმოება-დაწესებულებათა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა, პარტიულ, საბჭოთა და ადმინისტრაციულ ორგანოთა მუშაკების თათბირ-სემინარები.

კანონის განმარტებას მიეძღვნა დეპუტატის დღეები, მეცადინეობა საბჭოთა აქტივის სწავლების სკოლებში, ლექციები და მოხსენებები. თეორიული კონფერენციები, კითხვა-პასუხის საღამოები და სხვ.

მშრომელთა დეპუტატების მეთოთხმეტე მოწვევის თბილისის საქალაქო და ქალაქის რაიონული, ასპინძის, მარნეულის, ონის, სამტრედიის, ხაშურის, ცხაკაიას, ყვარლის რაიონული და ფოთის საქალაქო საბჭოების სესიებზე განხილულ იქნა საკითხი დეპუტატთა სტატუსის შესახებ კანონის განხორციელების თაობაზე.

ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები უკეთ ეხმარებიან დეპუტატებს მათ მოვალეობათა შესრულებაში, აწვდიან საჭირო მასალებსა და ცნობებს, ინფორმაციას უკეთებენ სესიების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისა და სესიებს შორის აღმასკომების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ აცნობენ ზემდგომი ორგანოების მნიშვნელოვან დადგენილებებს.

რუსთავის საქალაქო, ყვარლის რაიონული და თბილისის ლენინის რაიონული საბჭოების აღმასკომებში მოწყობილია „დეპუტატის ოთახი", რომელიც დიდ დახმარებას უწევს დეპუტატებს.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები პერიოდულად იხილავენ სტატუსის შესრულების მდგომარეობას. ყვარლის რაიონული საბჭოს აღმასკომმა განიხილა საკითხი დეპუტატთა სტატუსის შესახებ კანონის განხორციელების მდგომარეობის თაობაზე შილდის, გრემის, გავაზის და ახალსოფლის სასოფლო საბჭოებში, ჭიათურის საქალაქო საბჭოს აღმასკო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მმა — ნიგოზეთისა და ქვაციხის სასოფლო საბჭოებში, ვანის რაიონული საბჭოს აღმასკომმა— სალხინოსა და ბზვანის სასოფლო საბჭოებში. ეს საკითხი განიხილა აგრეთვე ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა.

სტატუსის მიღების შემდეგ გააქტიურდა დეპუტატების საქმიანობა საბჭოებში და საარჩევნო ოლქებში, ამაღლდა მათი როლი საბჭოების სესიების, აღმასკომებისა და მუდმივი კომისიების სხდომების მომზადებასა და ჩატარების საქმეში. მაგალითად, საგარეჯოს რაიონული საბჭოს მეორე სესიისათვის მიწათსარგებლობის წესების დაცვის შესახებ საკითხის მომზადებაში, სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის წევრების გარდა, მონაწილეობა მიიღო 22 დეპუტატმა. დეპუტატების ფართო მონაწილეობით სესიების მომზადების კარგი პრაქტიკა დამკვიდრდა კასპის, ზუგდიდის, ხობის, ჩხოროწყუს რაიონულ საბჭოებში.

რესპუბლიკის ბევრ რაიონსა და ქალაქში დიდი მუშაობაა ჩატარებული ამომრჩეველთა განაწესების შესასრულებლად, განსაკუთრებით კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობის დარგში.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და სასოფლო საბჭოების მუშაობაში მეტ გავრცელებას პოულობენ დეპუტატთა ჯგუფები. რესპუბლიკის საბჭოებში შექმნილია 1.095 დეპუტატთა ჯგუფი. ნაყოფიერად მუშაობენ დეპუტატთა ჯგუფები ქ. ქ. რუსთავსა და ფოთში, ახმეტის, ლაგოდეხის, საგარეჯოს და სხვა რაიონებში.

დეპუტატებს უფრო საქმიანი და მჭიდრო ურთიერთობა აქვთ დამყარებული თავიანთ ამომრჩევლებთან, აცნობენ მათ საბჭოს გადაწყვეტილებებს, აწარმოებენ მიღებას, მონაწილეობას იღებენ მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვაში.

ამასთან ადგილობრივ საბჭოებს დეპუტატთა სტატუსის შესახებ კანონის განხორციელების საქმეში ჯერ კიდევ აქვთ მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები.

დეპუტატების ნაწილი სუსტად ერკვევა თავის უფლება-მოვალეობაში, აქტიურ მონაწილეობას არ იღებს საბჭოს საქმიანობაში. ადგილობრივი საბჭოები იშვიათად ისმენენ დეპუტატების ინფორმაციებს მათი მუშაობის შესახებ.

ზოგიერთი საბჭოს სესიაზე საკითხების განხილვაში ნაკლებად მონაწილეობენ დეპუტატები.

დეპუტატები ჯერ კიდევ ფართოდ ვერ იყენებენ სესიებზე შეკითხვის წესით საკითხების დაყენების უფლებას.

საბჭოების აღმასკომები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ დეპუტატების სწავლების საკითხს, სისტემატურად არ ატარებენ „დეპუტატის დღეს“. ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები ყოველთვის სათანადო დახმარებას არ უწევენ დეპუტატებს ამომრჩეველთა წინაშე ანგარიშების ჩაბარების ორგანიზაციაში, არ აწვდიან მათ საცნობარო და საინფორმაციო მასალებს.

არსებითი ნაკლოვანებანი ახასიათებს დეპუტატების მუშაობას საარჩევნო ოლქებში. ზოგიერთი მათგანი არ აცნობს ამომრჩევლებს საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და განაწესების შეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულების მდგომარეობის შესახებ. მთელ რიგ რაიონში არ არის დაწესებული მოქალაქეთა მიღება დეპუტატების მიერ, ისინი ჯეროვნად არ მონაწილეობენ მშრომელთა განცხადებების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვასა და მათი შესრულების კონტროლში.

ადგილობრივი საბჭოს ბევრ აღმასკომში დეპუტატების მუშაობისათვის არ არის შექმნილი სათანადო პირობები.

ნაკლოვანებებია დეპუტატების წინადადებებისა და შენიშვნების აღრიცხვის, განხილვისა და მათ შესრულებაზე კონტროლის დაწესების საქმეში. ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები სათანადო მომთხოვნელობას არ იჩენენ წარმოება-დაწესებულებათა იმ ხელმძღვანელების მიმართ, რომლებიც არ იხილავენ დეპუტატების წინადადებებს ან არღვევენ მათზე პასუხის გაცემის ვადებს.

რიგი საბჭოს აღმასკომი არასაკმაოდ ზრუნავს ამომრჩეველთა განაწესების შესრულებაზე.

ზოგიერთი საწარმო-დაწესებულების ხელმძღვანელი არღვევს დეპუტატთა სტატუსის შესახებ კანონის მუხლს — დეპუტატის შრომის უფლების დაცვის თაობაზე.

ზოგიერთ რაიონში (ზუგდიდი, საჩხერე, ხაშური, გეგეჭკორი, მესტია, აბაშა) ჯერ კიდევ არ არის მოგვარებული დეპუტატებისათვის სადეპუტატო მოვალეობათა შესრულებისას ხელფასის ანაზღაურების საკითხი.

ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები სისტემატურად არ ზრუნავენ დეპუტატთა სტატუსების შესახებ კანონის ყველა მოთხოვნათა ვანუხრელად შესრულებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა

დაავალა მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

უზრუნველყონ დეპუტატთა სტატუსის შესახებ კანონის მოთხოვნების ცხოვრებაში განუხრელი გატარება და მიიღონ ზომები ამ დადგენილებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, რისთვისაც;

განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რათა საბჭოს ყველა დეპუტატი, მათ ტერიტორიაზე განლაგებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელები საფუძვლიანად იცნობდნენ კანონს დეპუტატის სტატუსის შესახებ. ამ მიზნით პერიოდულად ჩაატარონ დეპუტატის დღეები, მეცადინეობები, საუბრები, მოხსენებები, კონსულტაციები სტატუსთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებზე, მოაწყონ გამოცდილების გაზიარება.

დააწესონ კონტროლი ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადადებების განხორციელებაზე და ამ საქმეში ფართოდ ჩააბან დეპუტატები; სპეციალური მსჯელობის საგნად გახადონ დეპუტატის მიერ დაყენებული საკითხების უყურადღებოდ დატოვების ყოველი შემთხვევა;

სერიოზული ყურადღება მიაქციონ კანონის მოთხოვნას დეპუტატების მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშების ჩაბარების შესახებ. ამასთან მიიღონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზომები საანგარიშო კრებებზე და სხვა შეხვედრების დროს ამომრჩეველთა მიერ წამოყენებული წინადადებების და შენიშვნების დროულად განხილვისა და შესრულებისათვის;

სისტემატური დახმარება და ხელმძღვანელობა გაუწიონ ქვემდგომი საბჭოების აღმასკომებს, დეპუტატებს მათი უფლება-მოვალეობების განუხრელად შესრულების საქმეში; მიაღწიონ იმას, რომ ყველა საბჭო, მისი აღმასკომი ატარებდეს ცხოვრებაში საბჭოების მუშაობის შესახებ არსებულ კანონებს;

მტკიცედ დაიცვან კანონის მოთხოვნა დეპუტატის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით ხელფასის ანაზღაურების და დეპუტატის ხელშეუხებლობის შესახებ, მკაცრი პასუხი მოსთხოვონ იმ პირთ, ვინც დაუშვებს კანონის ამ მოთხოვნის დარღვევას;

დეპუტატებთან მუშაობის გაუმჯობესების მიზნით საბჭოების აღმასკომებში მოაწყონ დეპუტატების ოთახები ან კუთხეები, დააწესონ დეპუტატთა მორიგეობა, მთხოვნელთა მიღება, დროულად განიხილონ ამომრჩეველთა საჩივრები, წინადადებები და შედეგი აცნობონ განმცხადებელს;

მიიღონ ზომები, რომ ადგილობრივ გაზეთებსა და რადიოგადაცემებში პერიოდულად შუქდებოდეს დეპუტატების, მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფებისა და საბჭოების მუშაობა;

განახორციელონ სათანადო ღონისძიებანი დეპუტატების როლის შემდგომი ამაღლებისათვის, აქტიური მონაწილეობა მიაღებინონ მათ სახალხო მეურნეობის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებისათვის ბრძოლაში. დეპუტატთა მეშვეობით მოსახლეობაში სისტემატურად ჩაატარონ სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობა ცალკეულ საკანონმდებლო აქტებზე, საბჭოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების და საბჭოთა საზოგადოების თანაცხოვრების ნორმების დაცვის საკითხებზე;

გააუმჯობესონ საბჭოების სესიების და აღმასკომების მომზადება. საკითხების მომზადება-განხილვაში უფრო ფართოდ ჩააბან დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი, ამასთან მტკიცე კონტროლი დააწესონ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე.

*

* *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1973 წლის 29 ნოემბრის სხდომაზე მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ამხ. ა. კარანაძის და საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის ამხ. ვ. მაისურაძის მოხსენებები სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების წინააღმდეგ საბრძოლველად რესპუბლიკის სასამართლო ორგანოების მუშაობის შესახებ და აღნიშნა, რომ რესპუბლიკის სასამართლო ორგანოებმა გარკვეული მუშაობა ჩაატარეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების წინააღმდეგ პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა შესრულებისათვის. გაძლიერდა ბრძოლა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკუთრებით დიდი ოდენობით დატაცების წინააღმდეგ, მხილებული დასჯავ-
რდებული არიან სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გამფლანგველები,
რომლებმაც ეს დანაშაული ჩაიდინეს სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გზით; მეტი ყურადღება ექცევა სოციალისტური საკუთრების დატაცების მიზეზებისა და ხელისშემწყობი პირობების შესწავლას, ამ კატეგორიის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის განზოგადებას, სამართლებრივ პროპაგანდას; განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად გაუმჯობესდა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების მდგომარეობა.

ამასთან ერთად სასამართლო ორგანოების მუშაობაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი. ხშირ შემთხვევაში სათანადო ყურადღება არ ეთმობა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცება-გაფლანგვის საქმეებზე სასამართლო პროცესების ორგანიზაციას, ჯერ კიდევ დაბალია გამსვლელი სესიების ჩატარების კულტურის დონე. სასამართლოების მიერ გამოტანილ კერძო განჩინებათა უმეტესობაში გაანალიზებული არ არის დატაცება-გაფლანგვის ხელშემწყობი მიზეზები და პირობები, გათვალისწინებული არ არის ქმედითი ღონისძიებები მათ აღმოსაფხვრელად.

ასეთი კატეგორიის საქმეების განხილვაში სუსტად მონაწილეობს საზოგადოებრიობა, რაც ნაწილობრივ განპირობებულია იმითაც, რომ ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები აქტიურად არ ეხმარებიან სასამართლო ორგანოებს გამსვლელი სესიების ჩატარებაში.

აღსანიშნავია, რომ რიგი სამინისტრო, უწყება, წარმოება-დაწესებულება ხშირად, კანონის შესაბამისად, არ ატარებს კერძო განჩინების შესაბამისად სათანადო ღონისძიებებს და შედეგებს არ ატყობინებს სასამართლო ორგანოებს. ადგილი აქვს ამ კატეგორიის საქმეთა სასამართლოში განხილვის კანონით დადგენილი ვადების დარღვევებს.

რიგ შემთხვევაში სასამართლოები არ ატარებენ სრულყოფილ სამსჯავრო გამოძიებას, რის გამოც ხშირად უშვებენ შეცდომებს დამნაშავის პიროვნებისა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის განსაზღვრისას. დიდია გაუქმებულ განაჩენთა რაოდენობა.

სერიოზული ნაკლოვანებანია სასამართლო ორგანოების დასჯით პრაქტიკაში. ადგილი აქვს ლმობიერი სასჯელების შეფარდების, დამნაშავე პირების დაუსაბუთებლად გამართლების შემთხვევებს, ხოლო ხშირად კი მკაცრი სასჯელების შეფარდების ფაქტებს. ამასთან სასამართლოები სათანადოდ არ იყენებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 12 ივნისის ბრძანებულებას და თავისუფლების აღკვეთას უფარდებენ პირთ, რომელთა იზოლაცია საზოგადოებისაგან არ არის აუცილებელი.

არის შემთხვევები, როდესაც სასამართლოები ქონების კონფისკაციას მსჯავრდებულებს არ უფარდებენ მაშინაც კი, როდესაც კანონით ეს აუცილებელია, ან კიდევ მსჯავრდებულთა მიმართ არ გამოაქვთ ისეთი დამატებითი სასჯელები, როგორიცაა გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია პროკურატურის და შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ ამ კატეგორიის საქმეთა წინასწარი გამოძიების ხარისხი.

საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოები ჯერ კიდევ არ იღებენ აუცილებელ ზომებს დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად, სუსტია კონტროლი განაჩენების აღსრულებაზე ამ ნაწილში.

ზემოაღნიშნული ნაკლოვანებანი სასამართლოების მუშაობაში განპირობებულია იმითაც, რომ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო და უმაღლესი სასამართლო ჯერ კიდევ არასაკმარისად ეხმარებიან სასამართლო ორგანოებს და არ უწევენ სათანადო კონტროლს, ხოლო რესპუბლიკის პროკურატურა და მისი ადგილობრივი ორგანოები არ ახორციელებენ საჭირო საპროკურორო ზედამხედველობას მათ მიმართ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს და უმაღლეს სასამართლოს უმოკლეს დროში განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, რისთვისაც:

შეთანხმებულად იმუშაონ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, სისტემატურად შეისწავლონ და განაზოგადონ სასამართლო პრაქტიკა:

უზრუნველყონ, რომ სახალხო სასამართლოებმა განუხრელად დაიცვან მოქმედი კანონმდებლობა ამ კატეგორიის საქმეების განხილვის დროს;

მიაღწიონ სასამართლოების მიერ გაფლანგვა-დატაცების საქმეების კანონით დადგენილ ვადაში განხილვას, სასამართლო პროცესების ჩატარების კულტურის დონის ამაღლებას, საქმეთა განხილვაში ფართო საზოგადოებრიობის მონაწილეობას;

აღმოფხვრან დასჯითი პრაქტიკის საქმეში არსებული ნაკლოვანებანი, გაამახვილონ ყურადღება სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის განხორციელებაზე;

უზრუნველყონ სასამართლოების მიერ საქმეთა განხილვის დროს დამატებითი სასჯელის ღონისძიებათა შეფარდება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

გაამახვილონ სასამართლოების ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ კერძო განჩინებები უნდა შეიცავდნენ კონკრეტულ ღონისძიებებს გაფლანგვა-დატაცების ხელის შემწყობი მიზეზებისა და პირობების აღმოსაფხვრელად;

მეტი ყურადღება დაუთმონ იმას, რომ ამ კატეგორიის საქმეებზე გამოტანილი განაჩენები პრესის, რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით ცნობილი გახდეს ფართო საზოგადოებრიობისათვის;

სისტემატური კონტროლი გაუწიონ სასამართლო ორგანოების მუშაობას სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გაფლანგვა-დატაცებით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად.

საქართველოს სსრ პროკურატურას და შინაგან საქმეთა სამინისტროს რეკომენდაცია მიეცათ მკვეთრად გააუმჯობესონ წინასწარი გამოძიების ხარისხი, ამასთან უზრუნველყონ დატაცების ფორმებისა და ხერხების დადგენა, აგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთვე იმ გარემოებების გამოვლენა, რომლებზეც დამოკიდებულია დანაშაულის პასუხისმგებლობისა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სწორი კვალიფიკაციის განსაზღვრის საკითხი, გარდა ამისა საქართველოს სსრ პროკურატურას დაევალა გააძლიეროს საპროკურორო ზედამხედველობა სასამართლოების მიერ ამ კატეგორიის საქმეთა განხილვაზე.

სამინისტროების, უწყებების, წარმოება-დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს დაევალათ მკაცრი კონტროლი დააწესონ საგამომძიებლო ორგანოების წარდგინებებსა და სასამართლოების მიერ გამოტანილ კერძო განჩინებებში დაყენებული საკითხების შესრულებაზე, საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებისათვის კანონით დაწესებულ ვადაში სათანადო პასუხის გაცემაზე, ხოლო მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა ორგანიზაციული დახმარება აღმოუჩინონ უმაღლეს სასამართლოსა და სახალხო სასამართლოებს გამსვლელი სესიების მოწყობაში და უზრუნველყონ მათში საზოგადოებრიობის ფართო მონაწილეობა.

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1973 წლის 29 ნოემბრის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლით“ დააჯილდოვა 221 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან		26
ქ. ჭიათურიდან		3
ბოგდანოვკის	რაიონიდან	7
ბორჯომის	„	10
გარდაბნის	„	49
გეგეჭკორის	„	4
ვანის	„	13
ზუგდიდის	„	15
თელავის	„	6
თერჯოლის	„	2
კასპის	„	6
მარნეულის	„	47
მესტიის	„	10
ჩხოროწყუს	„	14
ხობის	„	6
სამხრეთ ოსეთის ა/ო		8